



წმინდა სკოლის

აღმართობის

2021 - 2022

სარჩევი

ენა და ლიტერატურა -----	1
• ვაჟა-ფშაველას პოემა “გველისმჭამელის” ინგლისური თარგმანები-----	2
• “ვეფხისტყაოსნის” სათაურის ინგლისური და რუსული თარგმანები-----	5
• “ვეფხისტყაოსნის” სახისმტყველება -----	9
• ლიტერატურა, როგორც ისტორიული მეხსიერება (ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელოს“ ერთი ეპიზოდის მიხედვით) -----	11
• განათლების სისტემის გავლენა მოზარდის ფორმირებაზე -----	15
• როგორ გავხდეთ მოქალაქეები ლიტერატურული ტექსტების გავლენით -----	18
• მარიოტა-შესაყარი (გალაკტიონიდან აპოლინერამდე.....პოეზიის ხიდი) -----	21
• ფუტურიზმი და დადა ქართულად -----	
• უცნობი დავით არსენიშვილი -----	26
• “ემოჯები” –სიმბოლოებით კომუნიკაცია -----	32
• Facets of love according to “The Red and The Black” -----	35
• Art of manipulation -----	37
• Biomimicry -----	39
• Antibiotic resistance -----	41
• 3D Building Houses And Their Effect -----	43
• Terrorism: Perception of Russian Aggression -----	45
საზოგადოებრივი მეცნიერებები -----	48
• What are some factors that make children struggle with creating separate, independent identities? -----	49
• Fashion as a way of self-expression: Comparative Analysis of Ruth Bader Ginsburg and Madeleine Albright -----	56
STEAM -----	59
• Solving algebraic equations -----	60
• Numerical Methods for finding roots of Transcendental Equations -----	75
• Internal assessment Geometry of ornaments -----	92
• Modelling operation of gas purification system -----	104
• თამაში „ColorGame“ -----	112
• My Arcade Machine -----	117
• Anti-hair loss shampoo- myth or effective treatment method: The analysis of shampoo properties and their effects on hair shafts -----	120
პოეზია -----	127
• პოსტიმპრესიონიზმის გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე -----	128



2020

წელი



საერთაშორისო წიგნების კვირა

ვაჟა-ფშაველას პოემა “გველისმჭამელის” ინგლისური თარგმანები

ლიზი ახალკაცი X MYP

„გველისმჭამელი“ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი საუკეთესო პოემაა, რომლის დედააზრი საკამათო აღმოჩნდა მკვლევართათვის. მკვლევრთა აზრით „გველისმჭამელში“ ვაჟამ ყველაზე უკეთ დაგვიხატა ადამიანის სულიერი დრამის სურათი. აქ „განსაკუთრებით გამომჟღავნდა ვაჟას ბრწყინვალე უნარი ადამიანის სულიერი სიღრმეების წვდომისა“ (კიკნაძე 1957: 154).

„გველისმჭამელმა“ მთარგმნელთა საკმაოდ დიდი ინტერესიც გამოიწვია, მიუხედავად პოემის სიმბოლური ხასიათისა და მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობისა. დღესდღეობით ინგლისურად პოემა ორ ავტორს აქვს თარგმნილი: ვენერა ურუშაძეს და დონალდ რეიფილდს. ვენერა გიორგის ასული ურუშაძე (1909–1991წ.წ.) ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში გიორგი ბარამიძე (ვენერა ურუშაძის მამა), პოლიტიკური შეხედულებების გამო საქართველოდან გერმანიაში წავიდა, შემდეგ კი - ამერიკაში. გარკვეული ხნის შემდეგ მან ცოლ-შვილიც ჩაიყვანა იქ. ვენერა ურუშაძემ ამერიკული კოლეჯი ოქროს მედალზე დაამთავრა. შემდეგ შევიდა «ჯულიარდის» სასწავლებელში ფორტეპიანოს განხრით, საიდანაც როგორც ვუნდერკინდი, ნიუ-იორკის კონსერვატორიაში გადაიყვანეს... ქალბატონი ვენერა პირველი ქართველია, ვინც ჯულიარდის სასწავლებელი დაამთავრა. ვ. ურუშაძის მუსიკალურმა ნიჭმა განაპირობა, ალბათ, ის, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანები მუსიკალურობით გამოირჩევა. იგი 17 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა. ვენერა ურუშაძემ, უდავოა, დიდი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის ინგლისურად თარგმნის უმნიშვნელოვანეს საქმეში. მას ეკუთვნის "ვეფხისტყაოსნის" პირველი ინგლისური პოეტური თარგმანი (პირველად გამოიცა 1960 წელს). მანვე ინგლისურ ენაზე გამოსცა "ქართული პოეზიის ანთოლოგია" (Anthology of Georgian Poetry) (1948, 1958), შოთა რუსთაველის "აფორიზმები" და ა.შ. შეადგინა და გამოსცა ინგლისური ენის სახელმძღვანელო და ქრესტომათია. გამოაქვეყნა არა ერთი სტატია თარგმანის თეორიის საკითხებზე. მნიშვნელოვანი ნაშრომია აგრეთვე ვაჟას „გველისმჭამელის“ მისეული თარგმანიც,

ვაჟა-ფშაველას პოეზიის სიღრმესა და მშვენიერებას სწორად ჩანვდა დ. რეიფილდი, თანამედროვე ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და პოეტი. იგი არის მრავალი წიგნის ავტორი ქართული და რუსული ლიტერატურის შესახებ, ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის და რუსისტიკის პროფესორი. დ. რეიფილდი შეშფოთებულია იმით, რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში ვაჟას შესახებ ცოტას თუ სმენია და ამ ფაქტს იგი დანაშაულის ტოლფასად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ბრიტანელმა მეცნიერმა სცადა მდგომარეობა გამოესწორებინა და ინგლისურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას სამი პოემა: „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“.

„გველისმჭამელის“ ინგლისური თარგმანები.

პოეტური ხელოვნება უმაღლესი ოსტატობაა, რომელიც მკითხველში იწვევს განუმეორებელ ესთეტიკურ განცდას. თარგმანში მისი ანალოგის მიღწევა მეტად სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენს, თუ არა შეუძლებელს. სამეცნიერო გამოკვლევებისა და თარგმანის ანალიზის საფუძველზე თუ შევადარებთ „გველისმჭამელის“ ვ. ურუშაძისეულ და დ. რეიფილდისეულ თარგმანებს, ვნახავთ, რომ ისინი გარკვეული აზრით ერთმანეთის საპირისპირონი არიან. ერთი - ორიგინალისადმი თავისუფალი დამოკიდებულების ნიმუშია, მეორე კი - დედნისადმი ერთგულებისა, თუმცა ეს ერთგულება არ არის უკიდურესობამდე მისული. ვ. ურუშაძე ცდილობს არ დაკარგოს დედნისული განწყობა, ასოციაციები, მაგრამ ვაჟასეულ სიტყვიერ მასალას, პოეტურ სახეებს, მეტაფორებს,

იდომებს, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ თავისუფლად ეპყრობა. მას არ სურს ორიგინალის ჩარჩოებში მოქცევა და ზოგჯერ საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის შენარჩუნებას ესწრაფვის დედნის მხატვრული კომპონენტების უგულებელყოფის ხარჯზე. დ. რეიფილდი კი ცდილობს ვაჟას პოეტური სახეები, მისი მხატვრული გამოსახვის ხერხები, ვაჟასეული მეტაფორები, ფრაზეოლოგია შეინარჩუნოს თარგმანში. ამიტომ მიჩნეულია და მეც ვიზიარებ ამ აზრს, რომ დ. რეიფილდის თარგმანი უფრო ახლოსაა ვაჟას პოემასთან აზრობრივად, ექსპრესიულობით, სისადავით და პოეტური სახეებით, დედნისეული პოეტური საშუალებების ინგლისურ ენაზე ადეკვატური გადატანით. ვ. ურუშაძის თარგმანის, როგორც პოეზიის, უდავო ღირსებაა რითმა; მისი თარგმნილი პასაჟები მელოდიურია და უმეტეს შემთხვევაში ორიგინალის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს. მთარგმნელი ცდილობს ფშავ-ხევსურული დიალექტის ასოციაცია შექმნას ინგლისური ხალხური მეტყველების ფორმების და ბალადური ლექსთაწყობის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, (ჩხარტიშვილი: 69-70) ურუშაძის მეტისმეტად თავისუფალი დამოკიდებულება დედნისადმი ხშირად სცილდება შემოქმედებითი თავისუფლების საზღვრებს და მთარგმნელი ინგლისურ მკითხველს ზოგჯერ ვაჟას პოეზიის ნაცვლად საკუთარ, თუმცა მეტად მგრძნობიარე და ნიჭიერ პოეზიას სთავაზობს. საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი ნიმუშის მოტანა:

„მთანი ჩამოშრენ, პირთაქვე
ქოთით მოდიან ღვარები, ხევებში ზვავი შათხელდა ვეშაპის მინაგვარები.“

დ. რეიფილდი ამ მონაკვეთის შემდეგ თარგმანს გვთავაზობს:

„The mountains dry out, and torrents
Come rushing downhill with a roar,
Falling rocks crash down
like dragons, Petering out as they reach the gorge.“

სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ: „მთები გამოშრენ, და ღვარები ღრიალით მოექანებიან ფერდობზე, ჩამომსხვეული ლოდები გველუშაპებივით ეხეთქებიან ძირს, ილევიან, როცა ხეობის ფსკერს აღწევენ.“

რა თქმა უნდა, პნკარედული თარგმანი ქართულად ვერ მოგვცემს სწორ წარმოდგენას რეიფილდისეული სტრიქონების პოეტურობაზე, თუმცა მასში კარგად ჩანს მთარგმნელის ერთგულება დედნისადმი, ძირითადად შენარჩუნებულია ვაჟასეული პოეტური სახეების შთამბეჭდაობა და ექსპრესიულობა (გამონაკლისია სტროფის მე-3 სტრიქონი, რომელშიც ვაჟასეული პოეტური სახე შეცვლილია). თუმცა ზვავი თარგმანში ვეშაპის ნაცვლად გველუშაპს (დრაკონს) არის შედარებული, ეფექტი ასევე გრანდიოზულია. მთლიანობაში დ. რეიფილდის თარგმანი, შეიძლება ითქვას, დედნის ეკვივალენტურ ეფექტს ახდენს მკითხველზე.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ მიუდგა იგივე ტექსტის თარგმანს ვ. ურუშაძე:

“ The world was wrapped in flimsy veil
As from the sky poured sheeted rain,
Down mountain sides
the waters sped
And serpent-like flowed on the plain.“

სიტყვასიტყვითი თარგმანით: „სამყარო თხელ პირბადეში იყო გახვეული, როცა ციდან ასხამდა საფარველად ქცეული წვიმა, მთის ფერდობებზე წყლები მოიჩქაროდნენ და გველებივით მოედინებოდნენ დაბლობზე.“

პნკარედული თარგმანიდანაც კი ჩანს, თუ როგორ შორდება ურუშაძე არა მხოლოდ ორიგინალის ტექსტს, არამედ მის პოეტურ ხატებსაც („ვეშაპის მინაგვარების“ ნაცვლად - „გველის მაგვარი“, დაიკარგა: „მთანი ჩამოშრენ“, „ქოთით მოდიან ღვარები“, „ზვავები“). მთარგმნელისეული პოეტური სახეები უფრო მაღალფარდოვანია. ვაჟას ორიგინალური შედარებები და მეტაფორები ურუშაძემ უფრობანალურით შეცვალა, რაც ნამდვილად

დანაკარგია თარგმანისთვის .თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელმა შეძლო ორიგინალის რითმის, მელოდიურობის და რიტმის შენარჩუნება. მთარგმნელთა განსხვავებული დამოკიდებულება დედნისადმი კარგად ჩანს ვაჟასეული ტროპების შესატყვისების ძიებისას. განვიხილოთ, მაგალითად, შემდეგი მონაკვეთი პოემიდან:

„მთის კალთებს შვენის ცხვარ-ძროხა როგორც ლამაზ ქალს ხალები.“

ვაჟას მშვენიერი, ორიგინალური შედარება ვ.ურუშაძემ შემდეგნაირად თარგმნა:

„The sheep like germs adorned the hills.“ („ცხვრებს ძვირფასი ქვებივით მოურთავთ გორაკები“), რაც სრულიად ახალი პოეტური სახეა.(ლ. ჩხარტიშვილი 44-56)

ვ. ურუშაძე მეტისმეტად თავისუფლად ექცევა ვაჟასეულ შედარებებს, ხშირად ცვლის მათ; „ლამაზი ხალები“ თარგმანში გაქრა, სამაგიეროდ გაჩნდა ძვირფასი ქვები - “germs”, რაც ნამდვილად არ ჰგავს ვაჟას, რომელიც აღტაცებაში მოჰყავდა ბუნებას და ყოველივე ბუნებრივს და არა ძვირფას ქვებს. ამ ცვლილებით ვ. ურუშაძემ განსხვავებულად წარუდგინა მკითხველს გარესამყაროს ვაჟასეული ხედვა. ვნახოთ, როგორ თარგმნის იგივე მონაკვეთს დ. რეიფილდი:

„Sheep and cattle dot the slopes like a beautiful woman’s beauty spots.“ სიტყვასიტყვითი თარგმანით,

„ცხვრებს და საქონელს დაუნინჯლავს ფერდობები მშვენიერი ქალის ხალების მსგავსად.“

ამ შემთხვევაშიც დ. რეიფილდი დედნის ერთგულია, ცდილობს რა შეინარჩუნოს ვაჟასეული შედარება, თუმცა ორიგინალის ფრაზების მოქნილობა და სისხარტე მაინც იკარგება. (ლ. ჩხარტიშვილი . 56-67)

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „გველისმჭამელის“ ზემოთგანხილული ორი თარგმანი ორი ნიჭიერი და განსხვავებული შემოქმედის მიერაა შექმნილი. თუმცა არცერთი თარგმანი არ არის უნაკლო, დ. რეიფილდის ნაშრომი, როგორც მკვლევარი ლ ჩხარტიშვილი აღნიშნავს უფრო მეტად წარმოაჩენს ვაჟას, როგორც მოაზროვნეს, მეც ვიზირებ ამ მოსაზრებას

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლია ჩხარტიშვილი ვაჟა-ფშაველას პოემების („ გველისმჭამელი“, „სტუმარმასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“) ინგლისური თარგმანები. თბილისი. 2012
2. არაბული გ., „ვაჟა-ფშაველას სამი პოემა (თემატურ-იდეური ანალიზი)“, თბილისი, 1999
3. ვართაგავა ი., „კრიტიკული წერილები“, I ტ., თბილისი, 1958;
4. ვაჟა-ფშაველა, „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად“, ტ. IV, პოემები, თბილისი, 1964 კიკნაძე გრ., „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბილისი, 1957;

“ვეფხისტყაოსნის” სათაურის ინგლისური და რუსული თარგმანები

თემურ თვაური X კლასი

შოთა რუსთველის პოემის სათაურს მკითხველი თავიდანვე მხატვრულ სამყაროში შეჰყავს. „ვეფხისტყაოსანი“ თავისთავად მხატვრული სახეა, რომელიც შეყვარებულ წყვილზე მიუთითებს (სირაძე 1982:187-189). „ვეფხისტყაოსანი“ მოყმე ნესტანზე შეყვარებული ტარიელია, ვეფხი კი ნესტანის სიმბოლურ სახეა, ტარიელმა ხომ განრისხებული ნესტანი ვეფხს ამსგავსა: „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს...“ (სტროფი #662, რუსთაველი 1992:214) და ვეფხის ტყავით შეიმოსა ნესტანის დაკარგვის შემდეგ .

პოემის სათაურთან დაკავშირებით საყურადღებოა საკითხი ,თუ რომელი ცხოველი იგულისხმება რუსთველისეულ ვეფხში და რა სიმბოლურ დატვირთვა აქვს მას.თუ თანამედროვე ქართულში სიტყვა ვეფხვი მიუთითებს კატისებრთა ჯიშის გარეულ მტაცებელზე - ვეფხვი (tiger, тигр), ძველ ქართულში სიტყვა ვეფხი უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო და, როგორც ბერძნულიდან, ასევე სპარსულიდან თარგმნილ ტექსტებში უპირატესად ლეოპარდს, ანუ პანტერას შეესატყვისებოდა. ანალოგიურად აღიქვამდნენ რუსთველის პოემის ვეფხვს ძველ საქართველოშიც, რაზედაც ნათლად მეტყველებს პოემის XVII და XVIII საუკუნეების ხელნაწერებში არსებული მინიატურები. ასე რომ, რუსთველის პოემის ვეფხისტყაოსანი ჭაბუკი, პანტერის ტყავით შემოსილი მოყმეა(ხინთიბიძე 2017:35). რაც შეეხება ვეფხის სიმბოლურ მნიშვნელობას, საინტერესოა, რომ ვეფხის დაწინააღმდეგე ტყავით, რომელსაც მრავალი ლაქა აქვს, სიმბოლიზებულია წარმავლობის სფერო და ამსოფლიური ყოფა (გამსახურდია 1991:49). მითოლოგიაში ზეციურ პირველკაცს ვარსკვლავიანი ცა მოსავს, როგორც ვეფხის ტყავი (დაწინააღმდეგე), რაც არის განსახიერება სამყაროსი, უძრავ ვარსკვლავთა ცისა, ამიტომ არის ვეფხის ტყავი სიმბოლო საზეო განათლებისა, სულიერი ძალმოსილებისა და სიბრძნისა. ამის გამო ანტიკური მითოლოგიის ღმერთები, გმირები და მისტერიათა ქურუმები ატარებენ მას. ვეფხის ტყავი მოსავს ღმერთ დიონისეს, ბერძნულ სამყაროში პარისსა და იაზონს, ძველ ეგვიპტეში ჰერმეს - ტოტის ქურუმებს (გამსახურდია 1991: 341). შესაბამისად, უდავოა ვეფხის, როგორც ცხოველის, განსაკუთრებული სიმბოლური როლი და მნიშვნელობა პოემაში, თუმცა ამ სიტყვის ღრმა და სიმბოლური შინაარსი შეიძლება ვერ აისახოს სათაურში.

პოემის სათაური ინგლისურ თარგმანებში „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სათაური, კიდევ ერთ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს პოემის უცხო ენაზე მთარგმნელებისთვის. საქმე ის არის, რომ ქართული სუფიქსი - ოსანი, ქონების აღმნიშვნელია და პიროვნების მიერ რაღაც მახასიათებლის ქონებაზე მიუთითებს: მანდილ-ოსანი, ცხენ-ოსანი, ჩოხ-ოსანი. შესაბამისად, სიტყვა „ვეფხისტყაოსანიც“,ვიღაცას, ვეფხის ტყავში შემოსილს, ანუ ვეფხის ტყავის მატარებელს უნდა აღნიშნავდეს უცხო ენაზე, მაგალითად ინგლისურად - „one who wears a panther’s skin“ ან “wearer of a panther’s skin”. რუსთველის პოემის სათაურად ამგვარი კალკირებული თარგმანი მხატვრულ ღირებულებას მოკლებული იქნებოდა, ამიტომაც მთარგმნელები ამჯობინებენ იმ პერსონაზე მიუთითონ, რომელიც ვეფხის ტყავს ატარებს (ხინთიბიძე 2017:35-36). საინტერესოა თუ როგორ თარგმნიან მთარგმნელები პოემის სათაურს:

მარტორი უორდროპი The Man in the Panther’s Skin

ვენერა ურუშაძე The Knight in the Panther’s Skin

რობერტ სტივენსონი

The Lord of the Panther-skin

ქეთრინ ვივიანი The Knight in Panther Skin

ლინ კოფინი The Knight in the Panther Skin

პროფ. ე. ბინთიბიძის განმარტებით, ინგლისურენოვანი სათაურებიდან The Knight (ვ. ურუშაძე, ქ. ვივიანი, ლ. კოფინი) და The Lord (რ. სტივენსონი), ზედმეტად აზუსტებენ რუსთველის პოემის სათაურში მოაზრებული უცხო პერსონის ვინაობას და ამიტომაც, The Man თავისი შედარებითი ნეიტრალურობით, უმჯობესია თარგმანში. ე. ბინთიბიძე ასევე გვთავაზობს პოემის სათაურის ინგლისურად თარგმნის ორ ვერსიას. მისი აზრით, პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად უმჯობესი იქნებოდა ამგვარად გადასულიყო: The Man in a Panther-Skin (მ. უორდროპის მსგავსად), ან ქართულ ერთსიტყვიან სათაურთან („ვეფხისტყაოსანი“), რაც თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე პირველი მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის მიერ იქნა შემუშავებული, .პოემის სათაურის მ. უორდროპისეული მიგნება ინგლისურ ენაზე, სამწუხაროდ არ გაიზიარა პოემის არცერთმა მომდევნო მთარგმნელმა და დაეყრდნო არა მ. უორდროპის, არამედ სათაურის ვ. ურუშაძის მიერ შემოთავაზებულ ინგლისურ ვერსიას: The Knight in the Panther's Skin. გამონაკლისს წარმოადგენს რობერტ სტივენსონი, რომელმაც პოემის სათაურის ყველა სხვა მთარგმნელისაგან განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა: „The Lord of the Panther-skin“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ვეფხის ტყავის დიდებული“, აღნიშნულ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა ასევე საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია როგორც Knight-ის (რაინდი), ასევე სიტყვა Lord-ის (ლორდი, დიდებული) გამოყენება სათაურის თარგმნისას, ე.ი. რამდენად მართებულია ტარიელს ეწოდოს Lord ან Knight (გამსახურდია 1984:153) , როგორც სათაურში, ასევე ზოგადად - ტექსტში. აღნიშნული თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ ერთია სიტყვა Knight-ის ხმარება სათაურში და მეორე - პოემის ტექსტში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზ. გამსახურდია შემდეგ კვლევას გვთავაზობს: როდესაც რუსთველი ტექსტში ხმარობს სიტყვა „მოყმეს“ ტარიელთან დაკავშირებით, რაც, ნ. მარის სამართლიანი თქმით, უცილოდ „რაინდს“ ნიშნავს, მაშინ შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა Knight, ვინაიდან მათ, ვინც „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“, ჯერაც არ უწყოდნენ, რომ ეს იყო მეფისწული ინდოეთისა, აქ კი უნდა ითქვას, რომ ქართული „მოყმე“ ხშირად მეფეზეც ითქმის, რასაც ვერ ვიტყვით Knight-ზე („მოყმე“ ეწოდებოდა მაგ. დავით სოსლანსაც). სათაურში კი, ტარიელის ვინაობა გარკვევით უნდა ჩანდეს და მისთვის მეფობის რანგის წართმევა და მხოლოდ რაინდად მოხსენიება უმართებულოდ მიაჩნიათ მკვლევრებს. ამიტომ სათაურში სიტყვა Knight-ის (ასევე Chevalier-ს, Recke-ს, витязь-ს) ხმარება უმართებულოა, ვინაიდან ტარიელი იყო მეფე და არა რაინდი. პოემის ტექსტში კი, ვიდრე გაერკვეოდნენ ტარიელის ვინაობაში, მისთვის შეიძლებოდა ეწოდებინათ knight - მოყმე, რაინდი. რაც შეეხება სიტყვა Lord-ს გამოტანას სათაურში რობერტ სტივენსონის მიერ, აქაც საკმაოდ რთულადაა საქმე. სწორედ ამიტომ, ზ. გამსახურდიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ვებსტერის მიხედვით სიტყვა Lord-ის ქვემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობების გააზრებაც, პოემის სათაურად აღნიშნული სიტყვის გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენისათვის:

Lord: 1 პატრონი, პიროვნება, რომელსაც გააჩნია უზენაესი ხელისუფლება. მმართველი, მპყრობელი;

2 პატივის აღმნიშვნელი ტიტული, ქმრის ტიტული ცოლთან მიმართებაში, ხშირად იუმორისტული გაგებითაც;

3 ბარონი, მამულის მფლობელი, ლენდლორდი;

4 კეთილშობილი, პატივის აღმნიშვნელი ტიტული. დიდ ბრიტანეთში ეს ტიტული ეძლეოდა მათ, ვინც კეთილშობილნი იყვნენ დაბადებით, გარკვეული მხარეების პერები, ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ვიკონტები და ბარონები. მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, რომელნიც ლორდთა პალატის წევრები არიან, ეტიკეტის მიხედვით ეს ტიტული ეძლევათ ⁶

ჰერცოგებისა და მარკიზების შვილებს, აგრეთვე გრაფების უფროს შვილებს;

5 საპატიო ტიტული გარკვეული ოფიციალური პირებისა, მაგ., ლორდ ადვოკატი, ლორდ ჩემბერლენი, ლორდ კანცლერი, ლორდ მოსამართლე;

6 საღვთო წერილში უზენაესი არსება იეჰოვა, აგრეთვე იესო ქრისტე, რომელსაც ეწოდება ლორდი, ან ჩვენი ლორდი (უფალი);

სიტყვა „Lord“-ის წარმოდგენილ ყველა მნიშვნელობასთან ერთად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლორდთა პალატა ბრიტანული პარლამენტის ერთ-ერთი პალატაა, რომელიც შედგება ამქვეყნიური და სასულიერო ლორდებისაგან, ე.ი. მხარეთა ბერებისა და ეპისკოპოსებისაგან. მეფე ან პრინცი ინგლისში ოფიციალურად არასოდეს მოიხსენება ლორდად და არც მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება მეფის ან პრინცის „ლორდად“ მოხსენიება (თუმც მამართვა „მილორდ“ შესაძლოა შეგხვდეს მეფესთან დაკავშირებით, მაგრამ ეს თითქმის იგივეა, რაც ქართული „ბატონო“). მეფეს „ლორდი“ შეიძლება ეწოდოს იშვიათად, ისიც არაოფიციალურად, კერძო საუბარში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვა „ლორდის“ ხმარება რ. სტივენსონის მიერ სათაურში, ზ. გამსახურდიას მოსაზრებით და ზემოთ მოცემული მისივე კვლევის საფუძველზე, გამართლებული არ არის (გამსახურდია 1984:153), არ უნდა დაგვაზინყდეს შინაარსობრივი კონტექსტიც, რადგან ტარიელის მხილველებმა მასთან შეხვედრისას დაასკვნეს, რომ ის იყო ჩვეულებრივი მოყმე, ვინაიდან მას არ ჰქონდა შესატყვისები მეფისა ან მემამულისა, რომელიმე მხარის მმართველისა ან თანამდებობის პირისა. შესაბამისად, სათაურის შემთხვევაში, ყველაზე მეტად ადეკვატური და მართებულია ისევ და ისევ უორდროპისეული სათაური „ვეფხისტყაოსნისა“ - „The Man in the Panther's Skin“, ვინაიდან არც „ლორდი“, არც „რაინდი“ არ აქვს ნახმარი რუსთველს, არამედ კაცი, ვინმე, რაც იგულისმება სიტყვაში „ვეფხისტყაოსანი“, პოემის ტექსტში კი „მოყმის“, „ყმის“ შესატყვისად აჯობებს სიტყვა Knight-ის გამოყენება. ხოლო სტივენსონისეული Lord, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, გამართლებული არცერთ შემთხვევაში არ არის (გამსახურდია 1984:154-155). დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სათაურის ინგლისურენოვან თარგმანებს შორის მხოლოდ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი სათაურისა: „The Man in the Panther's Skin“ გადმოსცემს ყველაზე ზუსტად სათაურის არსს: „კაცი ვეფხისტყაოსანი“ და არა „რაინდი ვეფხისტყაოსანი“ (გამსახურდია 1984:185), **პოემის სათაური რუსულ თარგმანებში.**

საინტერესო და საყურადღებოა პოემის სათაურის თარგმანებიც, შესრულებული რუსულ ენაზე:

კონსტანტინე ბალმონტი Носящий Барсову Шкуру
პანტელეიმონ პეტრენკო Витязь в Тигровой Шкуре
გიორგი ცაგარელი Витязь в Тигровой Шкуре
ნიკოლაი ზაბოლოცკი Витязь в Тигровой Шкуре
შალვა ნუცუბიძე Витязь в Тигровой Шкуре
როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ოთხ მთარგმნელს (პ. პეტრენკოს, გ. ცაგარელს, ნ. ზაბოლოცკის და შ. ნუცუბიძეს) იდენტურად უთარგმნია პოემის სათაური, კ. ბალმონტისგან განსხვავებით.

ბალმონტმა კი, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ვეფხის გააზრება ძველ ქართულში - „პანტერის“, „ლეოპარდის“ მნიშვნელობით და ვეფხის ნაცვლად სიტყვა „Барс“ (ჭიქი) (ჭიქი, ლეოპარდი გამოიყენა თარგმანში. ბალმონტისმიერი თარგმანის საფუძველს ამყარებს პოემისეული ტექსტიც („...იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია...“), თუმცა არ უნდა

დავივიწყოთ კ. ბალმონტის წინამორბედის, ე. ს. სტალინსკის ფრაგმენტული რუსულენოვანი თარგმანიც პოემისა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ სათაური შემდეგი სახით უთარგმნია: „Барсова -Кожа“ (ჩაჩანიძე 1980:114-115), რაც შესაძლოა ყოფილიყო საფუძველი პოემის სათაურის კ. ბალმონტისეული ვერსიისა. საინტერესოა, რომ ანალოგიურად (Барсова -Кожа) თარგმნიან პოეტის სათაურს კ. ბალმონტის წინამორბედი სხვა მთარგმნელებიც, მაგ. იპოლიტე ბრდტინსკი (1845 წ. გამოსცა პოემის არასრული თარგმანი) და იონა მეუნარგია (თარგმანი გამოიცა 1888 წ. თბილისში) (ჩაჩანიძე 1980:116-117). საყურადღებოა ისიც, რომ დღესდღეობით, პოემის ბალმონტისეული თარგმანის სწორედ ზემოთ წარმოდგენილი სათაურით გავრცელების მიუხედავად, მოსკოვის გამოცემებმა, კ. ბალმონტის მოღვაწეობის პერიოდშივე შეუცვალეს სათაური ბალმონტის თარგმანს და გამოაქვეყნეს შემდეგი სახით: „Витязь в Тигровой Шкуре“ (Руставели 1988: 630-631). სათაურის ბალმონტისეული ვერსიის შემთხვევაში, საყურადღებოა ასევე სიტყვა მოყმის, ანუ რაინდის (Витязь) ოსტატურად უგულებელყოფაც, რაც რასაკვირველია არაფერს ვნებს თარგმანს, რადგან წინადადებაში: Носящий Барсову Шкуру, ისედაც იგულისხმება ვიღაც, ვეფხის ტყავის მატარებელი, რაც არა მხოლოდ ადეკვატურად და ამავე დროს პოეტურად წარმოგვიდგენს რუსთველისეული პოემის სათაურს თარგმანში, არამედ უფრო მეტად აახლოებს კიდევ თარგმანს ორიგინალთან. ბალმონტის შემდეგ, პოემის სათაურის თარგმანმა („Витязь в Тигровой Шкуре“) შეუცვლელად გადაინაცვლა სხვა მთარგმნელების მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში, რომლებმაც არაფერი შეცვალეს მასში.

1. სალომე სანიკიძე „შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივი პლანის ანალიზი თარგმანთან მიმართებაში (ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე). თბილისი . 2019
2. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბილისი, 1984.
3. გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, 1991.
4. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი (წ. ნათაძის რედაქციით), თბილისი, 1992.
5. ხინთიბიძე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბილისი, 2009.
6. ხინთიბიძე ე., მეთოდური მითითებანი რუსთველოლოგიაში, თბილისი, 1989.
7. ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი, 2009
8. ჩაჩანიძე ვ., ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე, თბილისი, 1980.
9. Руставели Ш., Витязь в Тигровой Шкуре, Перевод Гиоргия Цагарели, Москва, 1953.

“ვეფხისტყაოსნის” სახისმტყველება

თემურ თვაური, X კლასი

საქართველო ოდითგანვე წარმოადგენდა სინთესს ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სწორედ საქართველოში მოხდა ორი უდიდესი კულტურის შერწყმა. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ გამორჩეულია არა მხოლოდ სიუჟეტით, არამედ მასში ჩადებული სიმბოლოებითაც, რომლებმაც კიდევ ერთხელ მიგვითითა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობაზე მსოფლიოში. შოთა რუსთაველმა გვიჩვენა კავშირი ორ წამყვან რელიგიას შორის: როგორებიცაა ქრისტიანობა და ისლამი. ქრისტიანობას საფუძველი I საუკუნეში პალესტინაში ჩაეყარა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, დევნისა და მსხვერპლის მიუხედავად ეს რელიგია ვითარდებოდა. მეოთხე საუკუნეში კი უდიდესი იმპერია, ბიზანტია მოიცვა. საქართველოს გაქრისტიანება პირველად ქრისტეს მონაფეებმა განიზრახეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის მთლიანად გაქრისტიანება ვერ შეძლეს. იმის მიუხედავად, რომ სამეფო კარმა ეს რელიგია უარყო, საზოგადოებაზე მაინც იქონია გავლენა და დაბალ ფენაში მრავალი ადამიანი მოინათლა. წმინდა ნინომ კი შეძლო და მეფე მირიანი, დედოფალთან ერთად გააქრისტიანა. იმ დღიდან მოყოლებული საქართველოს ამ რელიგიისთვის არ უღალატია და დროთა განმავლობაში თითოეული ქართველის იდენტობის ნაწილად იქცა. ქრისტიანული რელიგიის კავშირზე „ვეფხისტყაოსანში“ გვესაუბრება ზვიად გამსახურდია.

ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია. ქართულ კულტურაში ქალის იდეალად, სწორედ რომ, მარიამია მიჩნეული. „ვეფხისტყაოსანშიც“ ვხვდებით ამ ადამიანის სიმბოლოს. ღვთისმშობელი არის საღმრთო სიბრძნის გამოხატულება. ჩვენს ქვეყანაში თამარ მეფეს სწორედ რომ ღვთისმშობელს ადარებენ. საინტერესო ფაქტია, რომ ამ პოემაში სახელი ნესტანი სპარსულად (ანდარე ჯეჰან) ნიშნავს იმას, ვისი მსგავსიც არ არის ქვეყნად, ხოლო თინათინ - სარკისეულ ანარეკლს ნათლისა. ეს თამარის ალეგორიული სახელები მიგვითითებს ორ ასპექტზე შეუმეცნებელსა და შემეცნებითზე, დაფარულსა და ცხადქმნილზე.

წმინდა გიორგი ქართველებისთვის უმნიშვნელოვანესი წმინდანია. ის მიიჩნევა სიმამაცის, სიბრძნის სიმბოლოდ ქართველებისთვის. ჩვენს ქვეყანაში მას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენი მენტალიტეტის გამო. საქართველო მებრძლი ქვეყანაა. ბრძლის ველზე მყოფი რაინდები თვლიდნენ, რომ მათ ზურგს, სწორედ, რომ წმინდა გიორგი უმაგრებდა და საბრძოლველად სტიმულს აძლევდა. ზუსტად ამან განაპირობა ის, რომ ეს წმინდანი შუამავლად, ხიდად არის მიჩნეული ქართველ ხალხსა და ღმერთ შორის. ავთანდილი და ტარიელი მასთან ასოცირდებიან. მათში არის შერწყმული ის სიბრძნე, სიმამაცე და რაინდული სულისკვეთება, რომლებიც წმინდა გიორგის გააჩნდა.

ავთანდილმა და ტარიელმა ძალების გაერთიანებით შეძლეს და გამარჯვება მოიპოვეს ქაჯებზე. ქაჯები იმ გველეშაპის სიმბოლოა, რომელიც ოდესღაც წმინდა გიორგიმ განგმირა. ვეფხვის ტყავს, ამავედროულად, ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ამ პოემაში. მსოფლიო კულტურებში ვეფხვის ტყავი აღნიშნავს, ვნებებზე გამარჯვებას, საზეო განათლებასა და სულიერ ძალმოსილებას. ამ ტანისამოსს ატარებდნენ ინდური ღმერთები, შაჰ-ნამეს პირველი, ძველი ეგვიპტელი ქურუმები. როდესაც „ვეფხისტყაოსნისა“ და ქრისტიანობის კავშირზე ვსაუბრობს არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ დიონისე არეოპაგელის მოღვაწობა. რევაზ თვარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ამ თემის შესწავლაში, რასაც მცირე ნაწროში მიუძღვნა „არეოპაგელი და რუსთაველი“. დიონისე პირველ საუკუნეში მართლმადიდებლური და დასავლეთევროპული ეკლესიათა წმინდანი იყო, ათენის ეპისკოპოსი. მას განათლება ჰქონდა მიღებული ეგვიპტეში. ამიტომ ის

გათვითცნობიერებული იყო მსოფლიოს კულტურებში. დიონისე გვესაუბრებოდა სიყვარულის მნიშვნელობაზე ქრისტიანულ რელიგიაში. მისივე ნაშრომებიდან ჩანს, რომ ღმერთთან მისაახლოებელ გზას სწორედ რომ სიყვარულში ხედავდა ისევე, როგორც რუსთაველი, მაგრამ ეს დიდ დათმობებზე წასვლას ნიშნავდა, ამიტომ ცოტას თუ ხვდა ეს ⁹

ბედნიერება წილად. გამოყოფენ ორი სახის ღვთისმეტყველებას აპოფატურსა და კატაფატურს. აპოფატურის შემთხვევაში ღმერთი ნებისმიერ სახელსა და განსაზღვრებაზე მაღლა დგას, მაშასადამე ადამიანს მისი გაგება არ ძალუძს. კატაფატურის შემთხვევაში კი ადამიანის გონება ღმერთს აღიქვამს და მისი საიდუმლოებებიც ესმის. დიონისემ ქადაგებებიდან ვხვდებით, რომ ღმერთი ყოველგვარ დადებით და უარყოფით დახასიათებაზე მაღლა დგას. აქედან გამომდინარე ეს ორი ღვთისმეტყველება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. შოთა რუსთაველი დასაწყისშივე გვესაუბრება, რომ უფალმა შექმნა მატერიალური სამყარო და დრო, ამიტომაც ის გამიჭნულია ამქვეყნიური ჩარჩოებისგან, მაგრამ ის ასევე ხშირად ახასიათებს უფალს. მაშასადამე „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ორივე სახის ღვთისმეტყველებას, რაც დაკავშირებულია დიონისე არეოპაგელის მოღვაწეობასთან. დიონისეს აზრით ღმერთი არის მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის შემოქმედი, არა ბოროტების, ამიტომაც მას აღზევების და განვითარების საშალებას არ აძლევს. „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დიონოს გააცხადებს.“ ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ-ბოროტსა არ დაჰბადებს, ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს, თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“. ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ თინათინის შეხედულება: „ბოროტიმცა რად შეექმნა სიკეთისა შემოქმედსა?“. ამ ორი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ შოთა რუსთაველის შეხედულებები ემთხვევა დიონისე არეოპაგელის დასკვნებს და კიდევ ერთხელ მიგვითითებს მათ კავშირზე. რაც შეეხება აღმოსავლურ კულტურას, აქ უნდა შევხვით სუფიზმს. ეს არის ისლამური კულტურული სივრცის სულიერი გამოვლინება და მისტიკური მიმართულება, რომელიც VII-VIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. თუმცა ისლამის მიერ, როგორც მწვალებლობა, თავიდანვე შეჩვენების და დევნის ობიექტად იქცა. სუფიებისთვის უმნიშვნელოვანესი წესია განმარტობა ამაოებაში გასარკვევად. ეს ეხმარება ადამიანს ღმერთთან დაახლოებაში. ღმერთი სიყვარულთან ასოცირდება. შოთა რუსთაველი კი გრძნობებში გასარკვევ საშუალებად ველად გაჭრას მიიჩნევს. რელიგიის შესაცნობი წყარო სუფიებისთვის გრძნობის მამოძრავებელი ძალა, გულია. მათთვის მატერიალური ღირებულებები უმნიშვნელოა. გავიხსენოთ ავთანდილი, რომელმაც აურაცხელი განძით სავსე მეკობრეების გემი ვაჭრებს აჩუქა. სუფიების მიზანი ღმერთთან სიცოცხლეშივე მიახლოებაა. ამისთვის ისინი იცავენ მარხვებს, ლოცულობენ და ასრულებენ სხვადასხვა რიტუალს. რუსთაველი კი ღმერთთან მისაახლოებელ გზას სიყვარულს მიიჩნევს. სუფიები თვლიან, რომ მთავარი ამ ცხოვრებაში აბსოლუტურ რეალობასთან წვდომაა. ავთანდილის ანდერძიდან ჩანს, რომ შოთასთვის განათლებაა ის, რაც ადამიანს ამქვეყნიური წესრიგის შეცნობაში დაეხმარება. „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად არის აღწერილი ადამიანის ამაოება. სუმიზმის ერთ-ერთი სახე „უსასრულობის მისტიკა“ ადამიანს ადარებს ზღვაში არსებულ ერთ წვეთს, რადგან ღვთაებასთან შედარებით ის არარაობაა. ამ რელიგიამ უდიდესი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე და დღესაც მრავალი მიმდევარი ჰყავს. ცხადია, რომ ჩვენი ეროვნული ღირებულებები განპირობებულია ჩვენი ქვეყნის მდებარეობით ავროპასა და აზიას შორის. შოთა რუსთაველმა თავისი პოემით თავი მოუყარა ჩვენს ფასეულობებს და კიდევ ერთხელ გვიჩვენა, ჩვენი ქვეყნის ადგილი მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა

- პროექტი ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“-ზვიად გამსახურდია-“ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება
- პროექტი ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“-რევაზ თვარაძე-არეოპაგელი და რუსთაველი

ლიტერატურა, როგორც ისტორიული მეხსიერება (ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელოს“ ერთი ეპიზოდის მიხედვით)

მარიამ ბეჟუაშვილი, თინათინ გაჩეჩილაძე, IX MYP

ავტორი

ლიტერატურა ხშირად ხდება ისტორიული მეხსიერების წყარო. მითუმეტეს, თუ ავტორი თავად არის ამ ისტორიული ფაქტის თვითმხილველი. ასეთი ავტორი გახლავთ ზაირა არსენიშვილი, მწერალი და სცენარისტი, რომელმაც თავად განიცადა და იგრძნო ის, რაც აღწერა თავის რომანში.

ზაირა არსენიშვილი 1933 წლის 30 ნოემბერს დაიბადა. ხუთი წლის იყო, როცა მისი მამა, ვანო, დაიჭირეს და დახვრიტეს, თუმცა რომ დახვრიტეს, ესეც გვიან გაიგო ოჯახმა - კარგა ხანი ციხეში საკვები ისე მიჰქონდათ, არ იცოდნენ, რომ პატიმარი უკვე აღარ არსებობდა. ზაირა დედისერთა დარჩა. ის და ბიძაშვილები, ფაქტობრივად, ერთად იზრდებოდნენ. მის ოჯახში ყველა მღეროდა და თავადაც მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა. რაღაც პერიოდი ოპერაში ვიოლინოზე უკრავდა კიდეც. ქართული საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ლანა ლოლობერიძის ცნობილი ფილმების სცენარისტს. თუმცა, ის ყველაზე უკეთ გაიცნეს რომანით „ვა, სოფელო“, რომელშიც მოქმედება ვითარდება თელავში მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში. სამი პერსონაჟი ქალის ცხოვრების და ურთიერთობების მაგალითზე ჩვენ თვალწინ ცოცხლდება საქართველოს იმდროინდელი ისტორია: თელაველების ყოფა, ქალაქის კულტურული ცხოვრება და რაც მთავარია, 20-30-იანი წლების რეპრესიები, ოჯახური ფაქტებით გაცოცხლებული და ადამიანური ემოციების კუთხით ნაჩვენები, რომელთა შესახებ ხანდახან საარქივო დოკუმენტებიც კი დუმს.

ისტორიული რაკურსი - 1924 წლის აჯანყება და „სისხლიანი ქორწილი“ თელავში

1922 წელს საქართველოს ოპოზიციური პარტიების მიერ დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი. ამ ერთეულს ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტრი. ჩოლოყაშვილის რაზმის პარტიზანული ნაწილები დასავლეთ საქართველოშიც მოქმედებდნენ. შეთქმულებს საბჭოთა სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ. 1923 წელს სამხედრო ცენტრის მეთაურები და სხვა ლიდერები დააპატიმრეს და დახვრიტეს. დამკომმა კი, თავის მხრივ, გადანყვიტა საყოველთაო აჯანყება.

აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქიათურაში შეიარაღებული მიტინგი 28 აგვისტოს დაიწყო. მიუხედავად მრავალი ადგილის (დუშეთი, სუფსა, სენაკი, აბაშა, ვანი და ა.შ.) დაპყრობისა, აჯანყებულები ქაოსურად იქცეოდნენ, ფართო საზოგადოებამ აქტიურად არ დაუჭირა მხარი აჯანყებას. ყოველივე ეს დაეხმარა ბოლშევიკურ არმიას, რამდენიმე დღეში ჩაეხშო აჯანყება. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაიჭირა მოთავეების უმრავლესობა, ჩოლოყაშვილმა კი თავის რაზმთან ერთად პარტიზანული ბრძოლები დაიწყო კახეთში.

1924 აჯანყება ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაუნდობელი სისასტიკით ჩაახშო და ეს გამოიყენა შემდგომი ტერორის საბაბად.. „სოციალურად საშიშ ელემენტად“ მიჩნეული ყველა სიკვდილით დასაჯეს. ათასობით ადამიანი დაიღუპა, რომელთა უმრავლესობა არც კი მონაწილეობდა აჯანყებაში.

აჯანყების დაშლის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები დაიწყო, განსაკუთრებით თელავში, რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილი სწორედ კახეთიდან იყო და მას ამ კუთხეში ყველაზე მეტი თანამზრახველი ჰყავდა.

თელაველებისთვის 24 წლის აჯანყება და შემდგომი რეპრესიები ასოცირდება გიგოს გორასთან, რადგან სწორედ გიგოს გორაზე დახვრიტეს ქართველი თავადაზნაურობა,

რომელთაგან, შესაძლოა, ზოგს არც კი ჰქონდა შეხება აჯანყებასთან. თუმცა, როგორც ვიცით, როდესაც რეპრესიის მანქანა ამუშავდება, ის არ ინყებს გაარჩევს, ის ყველას სპობს, ვინც საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელია.

გიგოს გორის სახელწოდება მომდინარეობს მისი მესაკუთრის, გიგო ვახვახიშვილის, სახელიდან, თუმცა 1924 წლის სექტემბრის შემდეგ თელაველები მას გოლგოთას უწოდებენ და ერთ დროს ხმაურიანი, მიმზიდველი ადგილი შიშის და სიკვდილის სიმბოლოდ იქცა. ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ 1924 წლის 30 აგვისტოს თელავში, დღევანდელი 9 აპრილის ქუჩაზე, აზნაური საშა გამყრელიძე და ნინო რცხილაძე დაქორწინდნენ. ქორწილი 5 სექტემბერს გაიმართა, თელავის რეგიონის პოლიტიბუროს პოლიციამ ქორწილში მისული თხუთმეტი ადამიანი დაიჭირა და დახვრიტა. ამიტომაც უწოდეს მას „სისხლიანი ქორწილი“.

ისტორია ამ „სისხლიანი ქორწილის“ შესახებ წლების შემდეგ გიგოს გორაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადამიანების ძვლების გარდა, თელაველების მეხსიერებამ შემოინახა. მკვლევრებმა სწორედ ზეპირი ისტორიების მეშვეობით შეძლეს აღედგინათ სრული სურათი იმ შემზარავი დღისა.

„პოლიტიბურო“ თელავში ერთ-ერთ შენობასთან ფუნქციონირებდა და საკნის კედლებზე წარწერები დღემდე ჩანს. როგორც ჩანს, ამ საკნებში ჰყავდათ გამომწყვდეული ქორწილის სტუმრები, რომელთა უმრავლესობა საკნიდან პირდაპირ გიგოს გორის გზას გაუყენეს... საინტერესოა, რომ ამ პატიმრებს შორის ყოფილა ვლადიმერ ჯორჯაძეც. მისი შვილი, საშა ჯორჯაძე, კომუნისტური პარტიის წევრი, რამდენჯერმე მივიდა პოლიციის უფროსთან, ჯაფარიძესთან, მამის პატიების სათხოვნელად. ბოლოს მილიციის უფროსი მას დაემუქრა, რის შემდეგ საშა ჯორჯაძემ ჯაფარიძეს ცეცხლი გაუხსნა. ასეთებიც ხდებოდა, თავისიანებსაც არ ინდობდა საბჭოთა ტერორის მანქანა.

„სისხლიანი ქორწილი“ ზაირა არსენიშვილის რომანში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 5 სექტემბერს თელავში გაიმართა აზნაურ საშა გამყრელიძისა და ნინო რცხილაძის ქორწილი. თელავის რეგიონის "ჩონის" სპეცდანიშნულების რაზმმა ქორწილში მისული მამაკაცები დაიჭირა და უმეტესობა დახვრიტა. ეს ქორწილი, თავისი წინა მოვლენებით და შემდგომი ამბებით საოცარი სიცხადით, სიმძაფრითა და ემოციითა აქვს აღწერილი ზაირა არსენიშვილს.

ზაირა არსენიშვილი გვიამბობს, თუ როგორ აფრთხილებდნენ ნეფე-დედოფალს, რომ ქორწილი არ ჩაეტარებინათ, რადგან თითქმის ყველა სტუმარი რაღაც ფორმით უკავშირდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს - ზოგი ნათესავი იყო, ზოგი მეზობელი და ზოგიც, უბრალოდ, თელაველი. ბოლშევიკებისთვის ხომ საერთოდ არ იყო საჭირო კონკრეტული მიზეზი.

ავტორი აღწერს, როგორ ყვებოდნენ თელაველები ერთმანეთში ჩუმად ქაქუცას ოჯახის დანოკებას, როგორ გამოკეტეს მისი შვილი განჯინაში და არ უშვებდნენ, სანამ დედა ქმრის სამყოფელს არ გაამხელდა, თურმე, ძლივს მოასულიერეს ცოცხალმკვდარი ბავშვი. ეს შიშნარევი ემოციით მოთხრობილი ისტორიებით ავტორმა შექმნა საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ აქაც უნდა განმეორდეს, აქაც უნდა მოხდეს ეს ყველაფერი. თანამედროვე მკითხველიც, რომელმაც ისტორიიდან უკვე იცის დასასრული, მაინც დაძაბულად მისდევს სტრიქონებს, რადგან გრძნობს, რომ ამბავს იგებს იმისგან, რომელმაც ეს არა თუ ნახა, საკუთარ ტყავზეც გამოსცადა მისი სიმწარე...

ქორწილი მაინც ჩატარდა და ეს ეს ქორწილი მუდამ ემასოვრებათ თელაველებს, როგორც ერთ-ერთი შემზავი დღე თელავის ისტორიაში. ავტორი დეტალურად აღწერს, „ჩონის“ ახლადდანიშნული მეთაური, ტოლსტოვი, როგორ მივიდა ქორწილში და მექორწილეებს დაშლისკენ მოუწოდა. მექორწილენი აღშფოთდნენ და პირიქით, მას ქორწილში დარჩენა შესთავაზეს. ტოლსტოვმა ცოტა დრო მისცა მათ, ხელმეორედ დაბრუნდა და უთხრა, რომ ამჯერად მართლა უნდა დაიშალონ, თორემ ძალით დაშლიან.

ეს ისტორია, რომელიც რამდენიმე წინადადებით გადმოვეცით, ავტორს საოცარი ექსპრესიულობით აქვს აღწერილი. ტოლსტოვის მისვლა, მექორწილეთა სილაღე. რატომღაც არავინ უსმენს და არც სჯერათ. დამფრთხალი პატარძალი, თითქოს გული ცუდს უგრძნობსო... და სიმღერა, რომელიც ტოლსტოვის გაფრთხილებას შეაგებებს მექორწილებმა... მართლაც მძიმე წასაკითხი და აღსაქმელია ემოციურად, მითუმეტეს, როდესაც იცი, როგორც დასრულდება და შენც, მკითხველი, ისეთივე დამფრთხალი მოლოდინით აღსავსე ელოდები მათ გამოჩენას, როგორც თავად ავტორი. მართლაც, სულ მალე დამსჯელი რაზმი გამოჩნდა, ქორწილში მყოფი მამაკაცები გეპეუს შენობაში გადაიყვანეს და ქალები სახლებში გაუშვეს. თან უთხრეს, რომ ყველაფერი გაირკვეოდა და მამაკაცები სახლში მშვიდობით დაბრუნდებოდნენ. ამ დეტალით ავტორმა ნათლად დაგვანახა ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკე. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს მამაკაცები სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი, მაგრამ ურცხვად იტყუებოდნენ. მართლაც, რამდენიმე დღეში ყველანი დახვრიტეს. მათ შორის იყო რუსუდანის (მთავარი პერსონაჟის ბებიის) ვაჟი - გიგი. გიგოს გორაზე გათხრილ ერთ დიდ ორმოში ყრიდნენ დახვრეტილებს და მიწას ზერელედ აყრიდნენ. ამ ვრცელ რომანში ჩვენთვის ყველაზე შემზარავი ეპიზოდი სწორედ ესაა - კიდევ კარგი, რომ მიწა ზედაპირულად მიაყარეს. ღამით ჩუმად ადის რუსუდანი, მიწას გადაყრის და ეძებს საკუთარ შვილს. კიდევ კარგი, რომ ზედაპირზე აღმოჩნდა მისი ვაჟკაცი. ჩუმად წამოიყვანა მიცვალებული, ჩუმად აუგო წესი და საკუთარ ეზოში დაკრძალა ჩუმად. ამაზე სასტიკი განაჩენი რა უნდა გამოუტნო დედას! რეპრესიები ამით არ დასრულებულა. ავტორი აღწერს, ერთი წლის თავზე მღვდელმა ლუკამ გიგოს გორაზე სიკვდილმისჯილთათვის პანაშვიდი გადაიხადა. ამისათვის სამმა გარეწარმა რევოლუციის სახელით საპარიკმახეროში წაიყვანა და წვერი, უღვაში, თმა და წარბები გადაპარსა. მეორე საღამოს კი მამა ლუკა მდინარესთან გარდაცვლილი იპოვეს. ასე ექცეოდნენ ეკლესიის მასახურებს ბოლშევიკები. არც ეს ფაქტი დარჩენია ავტორს ყურადღების მიღმა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელზედაც ავტორი ამახვილებს ყურადღებას - იმ ქაოსსა და სიძულვილში, რომელიც, მართალია, ბოლშევიკებმა დათესეს თავიანთი სისასტიკით, მხოლოდ ისინი არ იყვნენ დამნაშავენი. ზაირა არსენიშვილი აღწერს, როგორ დაერთო ამ მასობრივ დახვრეტებს მემამულეთა სოფლებიდან განდევნა. ქონებაზე დახარბებული ბოგანო გლეხები დამსჯელ რაზმებთან ერთად მიუცვივდებოდნენ თავადაზნაურობას და მათ არც თუ ისე დიდ ქონებას ართმევდნენ, სახლებიდან ყრიდნენ და ხალხის მტრად აცხადებდნენ. ამის ახსნას ცდილობს ავტორი და ჩვენი აზრით, მართებულ ახსნას გვთავაზობს: „რატომ ექცეოდნენ ასე სასტიკად? რათა დამსჯელებს დაეშალათ, დაექსაქსათ სოფლებში მათი ერთობა... გაენიორწყლებინათ სოფლის მიმართ მათი ჭირისუფლება, მათი ქველმოქმედება... განედევნათ ჩვენი სოფლებიდან მათი სიტყვა-პასუხი, მათი დარბაისლური ქართული, მათი ხმა და ინტონაცია.“ სამწუხაროდ, მიაღწიეს ამას „კლასობრივი შუღლის“ სახელით. ალბათ, ავტორი ამ სისასტიკის ასეთი დაუნდობელი, პირდაპირი ჩვენებით ცდილობს, რომ აგვარიდოს ის თავიდან; ამ ფორმით გვაფრთხილებს, რომ ამ საშინელების სათავე უსიყვარულობაა და ყოველგვარი ბოროტება, გაუცხოება სწორედ უსიყვარულობისგან მოდის.

დასკვნა

ლიტერატურა არის ძალიან მნიშვნელოვანი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, რადგან ის გვიყვება ჩვენს ამბებს, ჩვენი წინაპრების ამბებს და ამით ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას ამყარებს; უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს წარსულზე და ემოციურად გვაკავშირებს ჩვენს ისტორიასთან.

ამის სანიმუშო მაგალითია ზაირა არსენიშვილის რომანი, რომელშიც ავტორმა გააცოცხლა ისტორიული ფაქტები ემოციით, რათა უკეთ ეჩვენებინა და გვეგრძნო ის სიმწვავე, რომელსაც ის და მისი თაობის ადამიანები წლობით დაატარებდნენ. მწერალმა თამაზ ქილაძემ შესანიშნავად შეაფასა ისტორიული მეხსიერების შემნახველი ზაირა არსენიშვილი: „ოცდაათიანი წლების ტრაგიკულ მოვლენათა პირუთვნელი და ნიჭიერი აღმწერი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზაირა არსენიშვილი, ვა, სოფელო, კახური ქრონიკები, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019წ.
2. shorturl.at/gNVY4
3. <https://www.youtube.com/watch?v=C2lcgLCKDio>
4. <https://www.youtube.com/watch?v=prrdUeGrdU>
5. shorturl.at/psV18
6. shorturl.at/QZ012



განათლების სისტემის გავლენა მოზარდის ფორმირებაზე

(ორი ლიტერატურული ტექსტისა და რეალობის გათვალისწინებით)
სოფია ძულიაშვილი, ქეთევან თარგამაძე, 8MYP

მგონი, ყველანი ვთანხმდებით იმ საკითხის გარშემო, რომ განათლება არის უმთავრესი საფუძველი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ჩვენთვის ეს ჯერ კიდევ არ იყო ასეთი ცხადი და ნათელი, სანამ არ გავეცანით შესაბამის ლიტერატურულ ტექსტებს და არ დავეკავშირეთ ჩვენს რეალობას. სწორედ ჩვენი განწყობა და მიგნება გვინდა გაგაცნოთ.

განათლებას დიდი როლი ენიჭება მოზარდების ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ამ კუთხით განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას. მაგრამ ყველაზე დიდ დროს ჩვენ, მოზარდები, ვატარებთ სკოლაში და ძირითად უნარ-ჩვევებსაც აქ ვიყალიბებთ თუ ვავითარებთ, რასაკვირველია, ცოდნის მიღებასთან ერთად. ეს პროცესი იმდენად ბუნებრივია, რომ ვერც ვგრძნობთ მას, ვხედავთ შედეგს და პროცესსაც ამით ვაცნობიერებთ. თუმცა, ამის გაცნობიერებაში თურმე მშვენივრად გვეხმარება ლიტერატურა

განათლების სისტემას სხვა რაკურსით შევხედეთ, როდესაც გავეცანით ჯერომ სელენჯერის ცნობილ რომანს. მისი პერსონაჟი, ჰოლდენ კოლფილდი, პირველსავე გვერდზე გვეუბნება, რომ სკოლა ყალბია. არ დაგიმაღავთ, რომ ეს იყო მოულოდნელობა. მეტიც, მისმა ამ დამოკიდებულებამ ავტობიოგრაფიულად განგვანყო უარყოფითად ამ პერსონაჟისადმი და გარკვეულწილად სტერეოტიპული მიდგომა ვირჩიეთ - თავად არის ზარმაცი და სკოლას აბრალებს. მხოლოდ შემდეგ, ტექსტის ანალიზის შედეგად, მივხვდით, რომ ჩვეი ეს პოზიცია განპირობებული იმით, რომ ჩვენი რეალობა (ანუ ჩვენი სკოლა) და იქ აღწერილი სკოლა ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სწორედ ამ განსხვავებამ დაგვაფიქრა, რომ დღევანდელი რეალობა შეგვედარებინა პერსონაჟების რეალობასთან. და გაჩნდა კითხვა - ჩვენ გამიმართლა, მაგრამ ვის არ გაუმართლებს? და რა არის ამ გაუმართლებლობის მიზეზი?

ამ კითხვას რომ ერთად ვუპასუხოთ, მივყვით და გავიგოთ, რას ემართლებიან ჰოლდენ კოლფილდი და პატარა ჭყიტა თავიანთ სკოლებს.

"ნუ მოკლავ ჯაფარას" არის მოთხრობა, რომელიც ასახავს სოციალურ უთანასწორობას და სამართლიანობის პრობლემას რეალობაში. მართალია, მასში აქცენტირებულია სამოქალაქო ღირებულებების აუცილებლობა, მაგრამ ასევე მკაფიოდაა ნაჩვენები განათლების სისტემის როლი ამ პროცესში.

8 წლის პერსონაჟი გვიყვება ფაქტებს, რომლებიც მკაფიოდ გვაჩვენებს, როგორ უწყობს მისი სკოლა ხელს სტერეოტიპული ყალიბების შექმნას - ამას ვხედავთ გამომდინარე იქიდან, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ბავშვების მიმართ. მაგალითისთვის ისიც კმარა, თუ როგორ აღწერს პირველკლასელი ჭყიტა თავისი მასწავლებლის ქცევას - "მის კეროლაინმა რიგებს შორის ჩამოიარა და ყველას საუბმე შეათვალიერა. დროდადრო კმაყოფილების ნიშნად თავს დააქნევდა, ხან კი სახე მოელუშებოდა." დავაკვირდეთ, როგორ აღწერს მოსწავლე მასწავლებლის უსიტყვო ქმედებებს. ეს ხომ ასეცაა, მოსწავლეები სიტყვების გარეშეც ხვდებიან მასწავლებლების განწყობას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, როცა მის კეროლაინმა ბავშვები შეაფასა საუბმის მიხედვით. გულმო წყალე ღიმილი იმან დაიმსახურა, ვისი საუბმეც ნოყიერი იყო. რა ხდება ამ დროს? მოსწავლისთვის ხომ მასწავლებელი როლმოდელია და შესაბამისად, ამ დროს მას ქვეცნობიერში უჯდება ის, რომ საზოგადოების სოციალური დეფერენცირება არის ნორმა. ასეთი ნორმირებული საზოგადოება რა შედეგამდე მიგვიყვანს, ესეც ცხადია. ამავე ტექსტში არის მეორე ეპიზოდი, როდესაც ჭყიტა ასევე სკოლის ფარისევლობას წარმოაჩენს. ყველასთვის საყვარელი მასწავლებელი, მის გეიტსი, რომელიც

მოსწავლეებთან თავის იწონებს იმით, რომ ამერიკაში დემოკრატიაა და გერმანიაში - ავტორიტარიზმი, რომელიც უწინებს წყიტას დემოკრატიის განმარტებას: „სწორედ ეს განასხვავებს ამერიკას გერმანიისაგან. ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატიაა, გერმანიაში კი - დიქტატურა. დიქ-ტა-ტუ-რა, - გაიმეურა მან. - აქ ჩვენში არავის სდევნიან. დევნა ცრუმორწმუნე ხალხმა იცის. ცრუ-მორ-წმუ-ნე, - გარკვევით წარმოთქვა მან, - ებრაელებზე უკეთესი ხალხი მე არ მეგულება, ამიტომაც ვერ გამიგია, რატომ იქცევა ჰიტლერი ასე...“, მკაფიოდ ამბობს, რომ ჰიტლერი არის სასტიკი, რადგან ებრაელებს ხოცავს. ეს აჩენს იმის განცდას, რომ მასწავლებელი ტოლერანტია, აღიარებს ადამიანთა თანასწორობას და მტკიცედ იცავს დემოკრატიულ ღირებულებებს. მაგრამ რა ხდება? მოთხრობის ფინალში წყიტა თავის ძმას, ჯემის, სწორედ ამ მასწავლებლის გამო უსვამს შეკითხვას. ეპიზოდი ეხება ცნობილ სასამართლო პროცესს, რომელზეც წყიტას მამა იცავს შავკანიან ტომ რობინსონს და რომლის გამოც წყიტას ოჯახი წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ მოექცა მეიკომის საზოგადოებიდან. ატიკუს ფინჩმა, ამ წნეხის მიუხედავად, შეასრულა თავისი ადამიანური მოვალეობა, აჩვენა ყველას ტომის უდანაშაულობა, მაგრამ, რასაკვირველია, სასამართლომ არ გაამართლა შავკანიანი. და აი, სასამართლო დარბაზიდან გამოსულ, კმაყოფილ ბრბოში აღმოჩნდა ჩვენი მასწავლებელი, მის გეიტსი, რომელიც ერთგვარი ნიშნისმოგებით ამბობს, რომ დროა ამ შავკანიანებს ქვეა ვასწავლოთ, თორემ მალე თეთრკანიანებზე დაქორწინებასაც კი გაბედავენ ეს თავხედები.

მასწავლებლის ამ სიტყვებმა თავზარი დასცა წყიტას და ამიტომ ცდილობს უფროს ძმასთან იმის გარკვევას, რატომ ხდება ასე? რატომ არიან ორსახოვანი ის ადამიანები, რომლებსაც მომავალი თაობის აღზრდა ევალებათ? ეს ის კითხვებია, რომლებიც, ვფიქრობთ, ნებისმიერ ეპოქაში განათლების სისტემის სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქცეს.

იმავე პრობლემებს ვხვდებით ჯერომ სელინჯერის მოთხრობაში “თამაში ქვავის ყანაში”. ჰარპერ ლისგან განსხვავებით, სელინჯერი პირდაპირ, თანაც პირველივე გვერდებიდან წერს განათლების სისტემის შესახებ. არ დავინწყებთ მთავარი პერსონაჟის განხილვას, ეს არ არის ჩვენი მოხსენების თემა. თუმცა, პირველი კითხვა, რომელიც გაგვიჩნდა, იყო - რატომ გარიცხეს სამი სკოლიდან ჰოლდენ კოლფილდი? თავიდან უარყოფითად განვეწყვეთ მის მიმართ, მაგრამ უცებ მივხვდით, რომ ჩვენც სტერეოტული ხედვის ქვეშ აღმოვჩნდით და სხვა მხრიდან შევხედეთ პრობლემას. ჰოლდენის დანახული საზოგადოება, „დიდები“, დაუნდობელი, სასტიკი, მატყუარაა. ამიტომ სურს მას, რომ კლდის პირას დადგეს და ქვავის ყანაში მოთამაშე ბავშვები დაიცივას, რათა ისინი არ ჩავცივდნენ უფსკრულში, რომელიც მეტაფორულად გამოსახავს ამ ტიპის საზოგადოებას. და როგორ უნდა გააკეთოს ეს? როგორ უნდა დაიცივას? ვფიქრობთ, რომ დაცვის მექანიზმია განათლების სისტემა. ამიტომ ამხელს მას დაუნდობლად ავტორი. ძალიან დიდი ირონია ჩანს, როდესაც აჩვენებს განსხვავებას პენსის სკოლის სარეკლამო ბროშურასა და რეალობას შორის. სარეკლამო ბროშურაზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული პოლოს მოთამაშე მოსწავლე, რომელიც ბარიერებს გადალახავს; წარწერა, რომ სკოლა ზრდის ლიდერებს - არის ტყუილი. საერთოდ არ მინახავს იმ სკოლაში ცხენები და არც პოლო გვითამაშიაო, - ამბობს ჰოლდენ კოლფილდი. რაც შეეხება ლიდერების გაზრდას, ამ სისტემას რომ ლიდერის გაზრდა არ შეუძლია, ამას მასწავლებლებისა და მოსწავლეების სახე კარგად აჩვენებს. პირიქით, ისინი მონებს, მატყუარებსა და მათზე დამოკიდებულ ადამიანებს ზრდიან. რეკლამა არის მდიდარი მშობლების მოსაზიდად. სამწუხაროდ, ეს მშობლებიც ნებაყოფლობით ერთვებიან ამ ტყუილში. განათლების სისტემა ატყუებს და მშობლები თავს იტყუებენ. აი, ესაა პრობლემა, რომელიც ავტორმა დაგვანახა თუნდაც ერთი სარეკლამო ბროშურის სახით. და რატომ განსხვავდება სკოლის სარეკლამო ბროშურა რეალობისგან? ამას პასუხი თავად საზოგადოებამ უნდა გასცეს და მოინდომოს მისგან გათავისუფლება.

ჰარპერ ლის მოთხრობის სათაურში ჯაფარა არის უდანაშაულობის სიმბოლო და

განათლების სისტემა ასწავლის ბავშვებს “ჯაფარას” განადგურებას. ჰოლდენ კოლფილდსაც ამ ჯაფარების დაცვა სურს. ეს ორი ლიტერატურული ტექსტი იყო საგანგაშო და გამაფრთხილებელი სიგნალი საზოგადოებისთვის, რომ დროა შევიცვალოთ და ეს ცვლილება უნდა დაიწყოს განათლების სისტემის ცვლილებით.

როდესაც ეს ორი ტექსტი ნავიკითხეთ, გავანალიზებთ და დავფიქრდით, მივხვდით, როგორ გაგვიმართლა ჩვენ. ვიცით, რომ ეს პრობლემები ჯერ კიდევაა საკმაოდ ბევრ სკოლაში, საზოგადოებაში. ჩვენთან კი? პირდაპირ გეტყვით, ამ მოთხრობების გააზრების შემდეგ დავხედეთ ჩვენი სკოლის სარეკლამო ბროშურებს, სარეკლამო რგოლებს; უფრო დავაკვირდით მასწავლებლებს გაკვეთილებზე და მივხვდით, რომ რეალობას აცდენილი არ ვართ. ის, რომ ჩვენ ახლა აქ ვდგავართ და ამ თემაზე ასე ღიად ვსაუბრობთ, ამის დასტურია. ასე რომ, ჩვენ გაგვიმართლა და მადლობა ჩვენს სკოლას ამისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯერომ სელინჯერი, თამაში ჭვავის ყანაში, მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2019.
2. ჰარპერ ლი, ნუ მოკლავ ჯაფარას, მთარგმნელი ლელა დუმბაძე, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2015.



როგორ გავხდეთ მოქალაქეები ლიტერატურული ტექსტების გავლენით

კესარია ჯიქია, ალექსანდრა ჩაჩანიძე, 8 MYP

ის, რომ ლიტერატურული ტექსტების მიხედვით შეიძლება კარგი მოქალაქე გახდე, წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, სანამ არ გავეცანიტ ტექსტებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩვენი ორიენტირი გახდა. ჩვენი შეხედულება შეიცვალა რამდენიმე ლიტერატურული ტექსტის შესწავლის შემდეგ. შევეცდებით, ჩვენი მოსაზრება გაგაცნოთ ჰარპერ ლის ცნობილი წიგნის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ მიხედვით.

დავინწყით თავიდან, **რას ნიშნავს, იყო მოქალაქე?** შესაძლოა, პირდაპირი რეცეპტი იმისა, თუ რას ნიშნავს კარგი მოქალაქე, არ არსებობს, მაგრამ თუ ჩვენს ტექსტებს დავაკვირდებით, ძალიან კარგ დაკვნებსაც გავაკეთებთ. მოქალაქე, უპირველესად, არის თავისუფალი პიროვნება, ინდივიდი თავისი ღირებულებებით, იდეებით, მოსაზრებებით და თავისუფლებით. ამ დროს ადამიანი კი არის ინდივიდი, მაგრამ ამავდროულად ის წარმოადგენს საზოგადოების ნაწილს. შესაბამისად, მას აქვს უფლება და მოვალეობაც. საუკეთესო მოქალაქის ნიმუშს წარმოადგენს ჰარპერ ლის პერსონაჟი ატიკუს ფინჩი. ჩვენთვის ის მართლაც ორიენტირი გახდა ამ კუთხით. უმთავრესი თვისება, რომელიც ატიკუსში განსაკუთრებით მოგვეჩონა და რომელზეც არ გვიფიქრია, სანამ მას არ გავიცნობდით, იყო ის, რომ ატიკუს ფინჩი არც მეიკომის საზოგადოების ნორმებში ჯდებოდა, მაგრამ არც ებრძოდა მათ. როგორ ახერხებდა ეს ადამიანი პიროვნული თვისებების დაცვას, გახდა გამოცანა, რომლის ამოხსნა გაგვიჭირდებოდა, თავად რომ არ დავგხმარებოდა.

ატიკუსის შეგონებაა, რომ **შენი მაღალი სტატუსი თუ გამორჩეულობა არ გაძლევს სხვა ადამიანის დამცირების უფლებას!** ამით ის გვასწავლის, რომ ყველა ადამიანი თანაბარია ყველგან და ყოველთვის! ამის საუკეთესო ნიმუშია მის მიერ ტომ რობინსონის დაცვა. ერთ ეპიზოდში ატიკუსი წყიტას ასეთ რამეს ასწავლის: **„თუ გინდა საზოგადოების გარდაქმნა, მას არ უნდა ეომო!“** ეს იყო ის შეგონება, რომელიც ატიკუსმა მარტო წყიტას კი არა, ყოველ ჩვენგანს გვითხრა. როდესაც საზოგადოების წევრი ხარ, რაც არ უნდა დამნაშავე იყოს საზოგადოება, თუ მისი გამოსწორება გინდა, დაპირისპირება და ბრძოლა ყოველთვის

წამგებიანია ორივე მხარისთვის. ატიკუსისთვის პირადი მაგალითი უნდა აჩვენო და დაარწმუნო ისინი, რომ სიმართლის კეთება არის ბრძოლის საუკეთესო იარაღი. ძალიან ძნელია, როცა გლანძღავენ, მაშინ ატიკუსისთვის ქუდი მოიხადო და ისე მოიკითხო შენი მლანძღველის ჯანმრთელობა, გაუღიმო და გაიარო, როგორც ის აკეთებდა მისის დებოუზთან; მაგრამ თურმე აუცილებელია. თუ შენ საზოგადოებას აღიქვამ როგორც ერთიანს, რომლის ნაწილი ხარ, მაშინ უნდა იზრუნო მასზე. ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა იმუშავო, მოთმინებით და დათმენით მიხვიდე შედეგამდე, ზოგადად, ატიკუს ფინჩი არა მხოლოდ საუკეთესო მოქალაქის სიმბოლოა, ის არის საუკეთესო მამის სიმბოლოც. მისი მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა კარგად ჩანს შვილების აღზრდაში, მაგრამ საუკეთესოდ გამოჩნდა, როცა ის უდანაშაულო შავკანიანს, ტომ რობინსონს იცავს. ატიკუსი მონაწილეობს პროცესში, რომელიც წინასწარ წაგებულა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ასე უხსნის წყიტას - თუ ამას არ გავაკეთებ, მე არ მექნება უფლება, შენ და ჯემის რამე გასწავლოთ, მიგითითოთო. ის ხომ ყოველთვის ადამიანთა თანასწორობას, უფლებების დაცვას, სიყვარულს ასწავლის შვილებს და ფუჭი იქნება მისი სიტყვები, თუკი ამას პრაქტიკულად არ გააკეთებს. ის ნამდვილი ნიმუშია თავისი შვილებისთვის.

ატიკუსმა გადასარევედ იცის, რომ შავკანიანის სასამართლოს მოგების შანსი თითქმის არ არსებობს. თუ მოვლენებს გავყვებით, ვნახავთ, რომ მოქალაქეები მას ოჯახის

შემარცხვენელს უნოდებენ, რადგან ის შავკანიანს იცავს და მათი აზრით ეს ცუდი საქმეა, მაგრამ ატიკუსი მაინც იცავს მას და ბოლომდე ასრულებს მის საქმეს, რადგან ის თავისი იდეის, პრინციპების ერთგულია, რომელსაც მოქალაქეობრივი შეგნება ეწოდება.

ამავდროულად, ის არც სიტყვიერად და არც ფიზიკურად არათუ უპირისპირდება, არამედ პასუხსაც არ უბრუნებს მოძალადე საზოგადოების წინააღმდეგ. განა არ შეუძლია, ან პასუხი არა აქვს? არა! ის ასეთ დროსაც იცავს იმ პრინციპს, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ - არანაირი ბრძოლა საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ.

ამ ქმედებით ატიკუს ფინჩი კიდევ ერთ პრინციპს იცავს, რომელსაც, ასევე ჭყიტას და ჩვენ, მკითხველებს, გვასწავლის: **კომპრომისი არ ნიშნავს კანონის დარღვევას; სისუსტესა და ლაჩრობას! კომპრომისი არის ძლიერი ადამიანების შეთანხმება!** ამიტომაც მუშტები ძირს უნდა დავუშვათ და თავი ავნიოთ მაღლა. ატიკუს ფინჩი პატივს სცემს ყოველი ადამიანის პირად უფლებებს და თავისუფლებას, თუნდაც ეს ადამიანი საზოგადოებისგან გარიყული და შერისხული იყოს. ამიტომაც აძლევს შენიშვნას შვილებს, რომლებიც ცდილობენ რედლი-ბუას, მათი მეზობლის, სახლიდან გამოტყუებას. ის მკაფიო განმარტებას იძლევა ამის გამო, რომ არტურ რედლი თავისი თავის ბატონ-პატრონია და როგორც უნდა, ისე მოიქცევა. ამით ჩვენ, მკითხველებმა, უნდა გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნა: **ყველა ადამიანი თავისუფალია და ამითაა თანაბარი ადამიანები.**

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს, საკუთარი აზრი იქონიოს და მათი აზრი პატივისცემასაც იმსახურებს“ - ამ სიტყვებით ატიკუს ფინჩი გვასწავლის, რომ ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ განსხვავებულ აზრს, სხვის არჩევანს! სწორედ ეს არის მოქალაქეობა და მოქალაქის მოვალეობა. უნდა ვიყოთ ღია განსხვავებულის მისაღებად. **„სანამ ადამიანებთან მორიგებაზე ვიზრუნებ, ჯერ საკუთარ თავს უნდა მოვურიგდე. არის ერთი რამ, რაც უმრავლესობის დაკანონებულ შეხედულებებს არ ექვემდებარება. ესაა ადამიანის სინდისი“**, - ამბობს ატიკუსი და ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი მისგან, რომელიც ყოველ ჩვენგანს სჭირდება, თუკი გვსურს, გავხდეთ კარგი მოქალაქე.

ჰარპერ ლის ტექსტში მკაფიოდაა ნაჩვენები, როგორ ხდება სტერეოტიპული საზოგადოების მსხვერპლი არტურ რედლი. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ საზოგადოება არ იცვლება. ატიკუსი ცდილობს, თავისი შვილები დაიცვას მათი გავლენისგან და აჩვენებს, რომ ყოველი ადამიანი ინდივიდია და მისი ქცევაც ამითაა განპირობებული. ამიტომ დაუშვებელია, ერთ ჩარჩოში თუ ყალიბში ჩასვა ყველა. ატიკუსის მორიგი შეგონებაც ამას ეხება: **სანამ ადამიანს განსჯი და გადაწყვეტილებას მიიღებ, მანამ გაიგე ამ ადამიანის შესახებ ყველაფერი.** ვფიქრობთ, ამას თუ ჩვენც გავითვალისწინებთ, აუცილებლად გამოგვადგება ცხოვრების გზაზე.

საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდი. ჭყიტა ძალიან განიცდის, რომ მის გარშემო ატიკუსს ყველა „მურიანების დამცველს“ უწოდებს. რასაკვირველია, ამ სიტყვების წარმოთქმას თან ზიზღი ახლავს და პატარა გოგოს ხშირად უწევს ჩხუბი, ფიზიკური დაპირისპირებაც კი, თავის კლასელებთან. როდესაც გამწარებული ჭყიტა ატიკუსს ეკითხება გაკვირვებული, თუ რატომ არ რეაგირებს თავად ამაზე, მამა მშვიდად პასუხობს: **„არ შეიძლება**

შეურაცხყოფად მიიღო ის, რასაც ვიღაცა ცუდ სიტყვად თვლის. ამით ის პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ უმეცრებასა და უსუსურობას ავლენს“. ასე რომ, ნურც ჩვენ გავბრაზდებით, როდესაც ვიღაც იარლიყს მოგვანებებს და ამით ცდილობს ჩვენს დაკნინებას. **„მე ვცდილობ ყველა მიყვარდეს“**, - ასე ეუბნება ატიკუსი ჭყიტას, როდესაც გოგონას კითხვა უჩნდება მართლა უყვარს თუ არა მას შავკანიანები. დააკვირდით, არ ამბობს, რომ მე ყველა მიყვარსო, არამედ, ვცდილობ, რომ მიყვარდეს. დიახ, ჩვენ არ მოგვეთხოვება, რომ ყველა გვიყვარდეს ჩვენ გარშემო, მაგრამ როგორც მოქალაქეებს, მოგვეთხოვება, რომ ვეცადოთ, გვიყვარდეს ყველა, თავისი ნაკლითა და ღირსებებით.


ზოგჯერ გვეჩვენება, რომ არაფერი გამოდის, რომ საზოგადოებას არ სურს მიგიღოს ისეთი, როგორიც ხარ, შენც არ გინდა მსხვერპლის გაღება. და როდესაც გგონია, რომ ჩიხში ხარ და საშველი არსაითაა, რომ დამარცხდი და ლაჩარი ხარ, სწორედ მაშინ უნდა გავიხსენოთ ატიკუს ფინჩის სწავლება: **„ნამდვილი სიმამაცე ისაა, როცა წინასწარ დარწმუნებული ხარ შენი წამოწყების წარუმატებლობაში და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, იღვნი, იღვნი“**

და ბოლომდე მიგყავს ის. იშვიათად თუ მოიპოვებ სრულ გამარჯვებას, მაგრამ ხანდახან მაინც ხომ მიაღწევ სანადელს“.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ატიკუს ფინჩმა ნამდვილად ამოგვიყირავა შეხედულებები მოქალაქეობის შესახებ და ისეთი გზები დაგვანახა, რომელზედაც მანამდე არასოდეს გვიფიქრია. ახლა ვიცით, რომ აუცილებელია ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება, რომ მიიღონ თავისუფალი გადაწყვეტილებები; მნიშვნელოვანია, მოიძებნოს ბალანსი პიროვნების თავისუფლებასა და საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და ეს ბალანსი არ უნდა იყოს ადამიანის ხარჯზე. **„ვერავის გულის მოსაფონებლად ვერ დავიცავ სიცრუეს ადამიანის სიცოცხლის ფასად“**, - ამბობს ატიკუს ფინჩი და ეს არის, ჩვენი აზრით, მთავარი დებულება სამოქალაქო ღირებულებებისა. ადამიანი თავისუფალია და მისი სიცოცხლის საპირიწონე არ არსებობს. **„მამაჩემი, კაცი, რომელსაც სძაგდა იარაღი და არც ერთ ომში არ მიუღია მონაწილეობა, ამქვეყნად ყველაზე გულადი მამაკაცი იყო“** - ამბობს ჯეინ ლუიზა ფინჩი, იგივე ქყიტა და სწორედაც რომ ვაჟკაცობას არ განსაზღვრავს ფიზიკური ძალა / იარაღი და ა.შ. ვაჟკაცობა სულგრძელობაა. და სწორედ ეს არის იმის საიდუმლო, თუ როგორ უნდა გავხდეთ ნამდვილი მოქალაქე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯერომ სელინჯერი, თამაში ქვავის ყანაში, მთარგმნელი ვახტანგ ქელიძე, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2019.
2. ჰარპერ ლი, ნუ მოკლავ ჯაფარას, მთარგმნელი ლელა დუმბაძე, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2015.



მარიოტა-შესაყარი (გალაკტიონიდან აპოლინერამდე.....პოეზიის ხიდი)

ნია გოგუა, IX კლასი

აპოლინერის სახელის ხსენებაზე ალბათ კალიგრამა, ანუ სიტყვებით დახატული ნახატი გაგახსენდათ. მეც გადავწყვიტე ჩემი კალიგრამა ხიდის სახით გალაკტიონსა და აპოლინერს შორის გამეკეთებინა.

ალბათ, გაგიჩნდათ კითხვა, თუ რატომ დავარქვი ჩემს საკონფერენციო თემას მარიოტა. სულხან საბას განმარტებით, მ ა რ ი ო ტ ა - ცის იმ „გრკალს“ ეწოდება, რომელზეც ბუნიობისას (დღელამსწორობისას) „ვალს მზე“. ეს სიტყვა მზისა და მთვარის პირისპირ დგომის, დღისა და ღამის სწორობის აღმნიშვნელია.

ჩემი საკონფერენციო თემის სათაური ამიტომაც „მოვნათლე“ მარიოტად, რადგან პოეზიაც შესაყარია... „რადგან პოეზიაც აბრუნებს და რკალავს ცასა და დედამიწას, აერთიანებს დროსა და სივრცეში განფენილ იდეებს და პოეზიის ხიდით აკავშირებს იმ შემოქმედებს, რომელთა საფიქრალი ერთსა და იმავე „რკალზე ვალს“ და მაშასადამე, მრავალგვარობის ნიშნით „განცალკევებული ამუსიკებული ენა“ თავისი არსებით ერთიანი პოეტური გონის შესაყარი, მარიოტა ხდება ... !

შევეცდები გადმოვცე ფრანგული პოეზიის სიმები როგორ ხმიანებს ქართული ლექსის მარგალიტებად აკინძულ სტრიქონებში და პირიქით...აპოლინერი როგორ ცხადდება გალაკტიონში... უფრო სწორად, საფრანგეთიდან საქართველოში და ,პირიქით, საქართველოდან საფრანგეთში მარიოტად-შესაყარად როგორ იდება პოეზიის ხიდი...! და ვხედავ, მირაბოს ხიდს იისფრად როგორ ეფინება ქართული თოვლი... გალაკტიონის თოვლი. ჩემთვის გალაკტიონი მთელი გალაქტიკის მარიოტაა! მზიდან მთვარემდე ხიდია-პოეზიის შესაყარი!

მიმიხვდით, ალბათ, გალაკტიონის „თოვლი“ მინდა შეგახსენოთ.ვიცი, რომ 1919 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის რიგით მეორე და „ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ (“Cran aux fleurs artistiques”). კრებულში, რომელიც 2000 ტირაჟით დაისტამბა, პოეტმა თავი მოუყარა 1914-1919 წლებში დაწერილ ლექსებს. მათ შორის ჩემი ART-ი ლექსიც არის - „თოვლი“ :

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.

ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავრდები.

ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.

ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...

ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლვის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.

თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!

მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლები.

მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს - ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.

თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

იმისთვის, რომ ლექსის მთავარი იდეა, განწყობა, სათქმელი, ემოცია კიდევ უფრო ახლოს მოვიდეს ჩვენამდე, პოეტი გვთავაზობს საოცარ მეტაფორებს, შედარებებს, აღმაფრენითი სახის ეპითეტებს. (ყველას ჩამოთვლას არ დავიწყებ) ლექსის პირველივე სტრიქონიდან იხატება-იკითხება გალაკტიონის უჩვეულო - იისფერი თოვლი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გალაკტიონი ხედავდა იისფერ სიტყვებს:

„იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

ამ ერთი, თითქოს ნაცნობი ფერის ცხადყოფით ავტორი თოვლის უცნობი ფერის-ზეციური იისფერით გვიხატავს ციაგებს. ლექსის ლირიკული გმირი თვით გალაკტიონია. მისი განცდები:

„დღეები რბიან და მე ვბერდები“;
„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“;
„მიყვარდა“...

და მრავალი სხვა გვაგრძნობინებს სევდას, მონატრებას, სიყვარულს. როგორც უკვე ვთქვი, ლექსში ბევრი მეტაფორა გვხვდება. მე ყველაზე მეტად მომწონს:

„იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...“

ვფიქრობ, რომ უდაბნოში გალაკტიონის ფიქრები, მისი მოგონებები, დარდი თუ ბედნიერება იგულსხმება, რომლებიც უდაბნოსავით ცარიელი და უმნიშვნელო იქნებოდა ქალის „მანდილის“ გარეშე, რომელშიც, სავარაუდოდ, სატრფო იგულისხმება.

„მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს - ყოფნა ბინაში...“

საინტერესო შედარებაა არა?! სატრფოს მონატრება/მონყურება ყოფნა-არ ყოფნის ტოლფასია, ალბათ! სიტყვა „ბინაში“ კი „შინ“ ყოფნის სიმშვიდეს და შინაურთან სიახლოვეს განაცდევინებს და ეს სატრფო გალაკტიონისათვის დამამწყალობელია! რატომ აშინებს „უბინაობა“ გალაკტიონს? ვის გამო წუხს გალაკტიონი? ვის გამო ევსება სული თოვლით? იქნებ, არც კი ღირდეს ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხების გაცემა, რადგან ყველა ვხვდებით, რომ აქ ნაცვალსახელით გაცხადებული სატრფო, სიყვარული თუ იმედი, ქალი თუ რწმენა ... წავიდა, აღარ არის ამქვეყნად?!... ლევან ბერძენიშვილი ამ ლექსის შესახებ ამბობს: „გალაკტიონისთვის დედამინაზე არის ცისფერი უდაბნო, თოვლის უდაბნო. იმიტომ, რომ მისთვის სამყარო შეტრიალდა, მას შემდეგ რაც სიყვარული წავიდა და დედამინაზე მწუხარე ზეცაა „დამკვიდრებული“. წარსულში სიყვარულის გამო განცდილი ტკივილი კი ლურჯია-ანდა იისფერი! ორივე ფერი ხომ გლოვისა და დარდის ფერია ფერთა სიმბოლიკით...“

გალაკტიონს კი ეხერხებოდა რეალობის სიმბოლიკით ოსტატურად შენიღბვა. ამბობენ, გალაკტიონი, ხშირად, შეგნებულად ჩქმალავდა სიმართლეს საკუთარი ლექსების იდეის შესახებ ან მათი დათარიღებისას. ამ ფაქტს კი თავისი მიზეზი ჰქონდა. კონკრეტულად, აი, რა: როგორც ცნობილია, მკვლევარნი გალაკტიონის შემოქმედებაში ორ პერიოდს გამოყოფდნენ. დამკვიდრებული აზრის მიხედვით, თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლისტი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, ანუ 1921 წლიდან, პოეტის შემოქმედებაში იწყება თითქოს მეორე ეტაპი — რეალიზმის, შემდეგ კი სოციალისტური რეალიზმის ხანა.

სიმბოლიზმის ხსენებაზე საბჭოთა ხელოვნების „ხელისუფალთათვის“ სიმბოლიზმი, როგორც მიმდინარეობა, იყო ლიტერატურის იდეური გახრწნა, ბურჟუაზიული, დეკადენტური ხედვა. ამიტომაც იმ პერიოდიში გამორჩეული პოეტები ხშირად „ამტკიცებდნენ“, რომ მათ სიმბოლიზმის „სახადი“ კარგა ხანია „მოიხადეს“ და რომ ისინი სოციალისტური რეალიზმის „ერთგული“ მიმდევარნი იყვნენ... ეს გარემოება გავითვალისწინე, როცა სიმბოლიზმის შესახებ გალაკტიონის გვიანდელ ჩანაწერებს ვკითხულობდი. დავუბრუნდეთ ლექსს:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის,
ქალწულებივით ხიდიდან ფენა..“

რისი სიმბოლოა ხიდი? ეს ლექსი 1916 წელს დაიწერა, როდესაც საქართველოში უკვე კითხულობდნენ, ესმოდათ და იცნობდნენ ფრანგულ პოეზიას. საქართველოში პოეზიის მოყვარულნი და პოეზიით შთაგონებულნი უკვე გამოარჩევდნენ, გრძნობდნენ ფრანგულ პოეზიას და ფიქრობდნენ ფრანგ პოეტზე - გიომ აპოლინერზე ...

ერთ-ერთ უდიდეს სიმბოლისტზე. აპოლინერის შემოქმედებაში ასახული ფანტასტიკური პერსონაჟები და სიტუაციები გვიმხელენ აპოლინერის უარყოფით დამოკიდებულებას რეალისტური და ნატურალისტური მიდგომებისადმი.

ის შენიღბულად გამოხატავდა სათქმელს, რითიც გამოირჩეოდა თანამედროვე ფრანგი მწერლებისა და პოეტებისაგან. ამიტომაც ვამსგავსებ მე გიომ აპოლინერს გალაკტიონ ტაბიძეს... აპოლინერისა და გალაკტიონის პოეზიის ხიდი აკავშირებს ფრანგულ „მირაბოს ხიდსა“ და ქართულ „თოვლს“ :

Le pont Mirabeau

Sous le pont Mirabeau coule la Seine
Et nos amours
Faut-il qu'il m'en souvienn
La joie venait toujours après la peine

Vienne la nuit sonne l'heure
Les jours s'en vont je demeure

Les mains dans les mains restons face à face
Tandis que sous
Le pont de nos bras passe
Des éternels regards l'onde si lasse

[12 სტაიდი] Vienne la nuit sonne l'heure
Les jours s'en vont je demeure

L'amour s'en va comme cette eau courante
L'amour s'en va
Comme la vie est lente
Et comme l'Espérance est violente

Vienne la nuit sonne l'heure
Les jours s'en vont je demeure

Passent les jours et passent les semaines
Ni temps passé
Ni les amours reviennent
Sous le pont Mirabeau coule la Seine

Vienne la nuit sonne l'heure
Les jours s'en vont je demeure

ამ ორი ლექსის შესაყარი- ხიდია! გალაკტიონისთვის მდინარეზე გადაებული ხიდის წარმოსახვა ქალწულებრივი იისფერი თოვლის ფენასთან ასოცირდება, იმ დაშორებულ სიყვარულზე, რომელიც ხიდის იქით და აქეთ , ხიდს ქვემოთ და ხიდზე რომ გათქმევინებს : დღეები რბიან... და მე ამ სიყვარულის ერთგული ვრჩები!

Passent les jours et passent les semaines
Ni temps passé
Ni les amours reviennent
Sous le pont Mirabeau coule la Seine

შეუძლებელია აპოლინერის „მირაბოს ხიდის“ წაკითხვის შემდეგ არ გაგიჩნდეს სურვილი დაინახო მარიოტა , მით უმეტეს, თუ იცი,რომ აპოლინერის ეს ლექსი 1913 წელს გამოქვეყნდა. გალაკტიონს ის შეიძლება სცოდნოდა და უფრო მეტიც, რიგით მომდევნო ლექსში(იმავე კრებულიდან „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ (“Cran aux fleurs artistiques”)) ნახსენებია სიტყვები: „ჩემი გულიდან იმედი გაიტაცეს ისე, როგორც გაიტაცეს ლუვრიდან ჯიოკონდა“.

ლუვრიდან ჯიოკონდას გატაცება არის საქვეყნოდ ცნობილი ამბავი. მასში ბრალი დაედო ორ ადამიანს: პიკასოსა და აპოლინერს....

აპოლინერი დააპატიმრეს. სწორედ ციხეში მჯდომმა აპოლინერმა დაწერა ზღაპრული სიტყვები „ Les jours s'en vont je demeure” - დღეები რბიან, მე კი ვრჩები. გალაკტიონი წერს: დღეები რბიან და მე ვბერდები.

შეუძლებელია არ დაინახო ალუბია ამ ბზკარედებს შორის!!!

გალაკტიონმა იცის ჯიოკონდას ამბავი, იცის აპოლინერის დაპატიმრების ამბავი, წაკითხული აქვს აპოლინერის შედევრი და ,როგორც ჩანს, მიანიშნებს მასზე... ასე რომ არ ყოფილიყო, რომ არ სცოდნოდა და რომ არ მიენიშნებინა,.. ჩვენ ხომ ვიცით?! ჩემთვის მაინც მიანიშნებია... პოეზია ამით არის მდიდარი, რომ იგი იმ ფორმებს ფლობს და ისეთი წარმოსახვის უფლებას გვაძლევს, ჯერ არ გახმიანებულა, იმიტომ რომ ეს ლექსები მარტო გალაკტიონისა და აპოლინერის დროსა და სივრცეში ხომ არ გაჟღერებულა?! იმიტომ, რომ შესაძლებელია საუკუნეების შემდეგ მავანმა ლექსის მკითხველმა სულ სხვა მოვლენას დაუკავშირებს, სხვა სიმძაფრით აღიქვას იგი. ერთი კი ცხადია, ესაა სიყვარულის ძალა! ესაა პოეზიის ძალა! ესაა მარიოტა-შესაყარი!

მარტო მზისა და მთვარის , დღისა და ღამის სწორობის აღმნიშვნელი კი არა, მარიოტა-ჭეშმარიტი და დიდი პოეზიისა , მე ვიტყვოდი, tete a tete პოეზიის სიმალღებე დგომის სწორობის სიმბოლოა!

„ Les jours s'en vont je demeure” - დღეები რბიან ...

მე კი ვრჩები ფრანგული პოეზიის მკითხველი!

„ Les jours s'en vont je demeure” - დღეები რბიან ...

და მე ვრჩები გალაკტიონის ლექსის ერთგული!

გამოყენებული ლიტერატურა:

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული

<https://en.wikipedia.org/>

http://www.wiu.edu/Apollinaire/Bibliographie_Critique_Selective.htm

<https://wikisource.org/wiki>

<https://www.britannica.com/biography/Guillaume-Apollinaire>

<https://www.poetryfoundation.org/poets/guillaume-apolinaire>

<https://www.wikiwand.com/ka>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/>

<https://edition.cnn.com/2013/11/18/world/europe/mona-lisa-the-theft/index.html>

<https://www.youtube.com/watch?v=w5dQDS4pS4U>



უცნობი დავით არსენიშვილი

ილია ბერბიჭაშვილი, მარიამ ხუროძე, ნუცა ქუთელია, 8MYP

ჩვენი მოხსენება, შესაძლოა, ლიტერატურასთან კავშირში არ მოგეჩვენოთ, მაგრამ გვინდა თქვენ წინაშე გავაცოცხლოთ ერთი ძალიან დიდი ქართველი, ადამიანი, რომელმაც ქართულ, და არა მარტო ქართულ, კულტურას ძალიან დიდი ამაგი დასდო.

კი ვთქვით, რომ ლიტერატურასთან კავშირი თითქოს არ ჩანს, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ლიტერატურა კულტურის ნაწილია, დავით არსენიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ლიტერატურის მუზეუმის დაარსება. რომ არა დავით არსენიშვილის შეუპოვარი ბრძოლა, დღეს ამ მუზეუმში არ გვექნებოდა ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ძალიან დიდი საგანძურია ჩვენთვის.

დავით არსენიშვილის პიროვნება

ილია არსენიშვილისა და პრისკილე აბზიანიძის ვაჟი, დავით არსენიშვილი, დაიბადა 1905 წლის 13 დეკემბერს ტყიბულში და გარდაიცვალა 1963 წლის 16 ნოემბერს. იგი 1913 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაირიცხა, მოგვიანებით კი სწავლა გააგრძელა გაგრის, ბაქოსა და თბილისის სკოლებში და 1922 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის დრამატული სტუდია. 1925-1927 წლებში იყო თბილისის რევოლუციურ თეატრ-სტუდიის რეჟისორი, სადაც ამავდროულად საჯარო ლექციის სახით ჰყვებოდა ქართული თეატრის შესახებ. ეს მოკლედ მისი ბიოგრაფიის შესახებ. ახლა კი გავიცნოთ ის საზოგადოებრივ ასპარეზზე.

თეატრის მუზეუმის შექმნა:

დავით არსენიშვილს მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა - შეენახა ყველაფერი, რაც კულტურულ მემკვიდრეობას უკავშირდებოდა და ყველაზე საშინელი დასასრულისგან - განადგურებისგან გადაერჩინა. მას ესმოდა თეატრალური მუზეუმის მნიშვნელობა კულტურის ისტორიისთვის, რის გამოც თეატრალურ ხელოვნებაზე შეყვარებულ სხვა სტუდენტებს ამგვარი მუზეუმების აუცილებლობაში არწმუნებდა. ამისთვის მათ დაასუფთავეს დიდი ტერიტორია და ნეკრასოვისა და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხეში მდებარე სასტუმრო "BeauMonde"-ს სარდაფი მოიპოვეს.

მუზეუმის თანხის მოსაზიდად მართავდნენ თეატრალური დადგმებს, იმის მიუხედავად, რომ არც სცენა ჰქონდათ და არც დარბაზი. ამიტომაც დადგმები ჩატარდა ცირკის მრგვალ, ხის შენობაში. მაგრამ დიდხანს ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო, რის გამოც დავითმა თავის მიზანს მიაღწია და გახსნა ნეონის განათებით აღჭურვილი დარბაზი. ამ დარბაზში პირველად დადგა ა. გრიბოედოვის პიესა "ქართული ღამე", რომლის მეშვეობითაც მუზეუმისთვის საკმაო თანხა შეაგროვეს.

მოგეხსენებათ, მუზეუმის მთავარი საგანძური მისი ექსპონატებია. მუზეუმის პირველ ექსპონატთა შორის იყო ალექსანდრე სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი ოპერა "ღალატის" ლიბერტო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვათა ხელნაწერები. მან თავი ასევე მოუყარა ქართულ თეატრალულ კოსტიუმებს, მემორიალურ ნივთებს, რომელიც შეიცავს იშვიათ ექსპონატებს. ეს ექსპონატებია: დიმიტრი ყიფიანის ნესესერი, მარიონეტების თეატრის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ფიგურის 'ვაიანგის' ნიმუშები და ქართულ-კავკასიური დასების ფოტოები. ასევე რუსულმა, აზერბაიჯანულმა და სომხურმა თეატრებმა ისტორიული მნიშვნელობის თეატრალური ნივთები მუზეუმს საჩუქრად გადასცეს.

ლიტერატურის მუზეუმის დაარსება:

დავით არსენიშვილის სახელს მეორე მუზეუმის დაარსებაც უკავშირდება. 1929 წელს მთაწმინდაზე თბილისის სათეატრო მუზეუმის გამგემ დავით არსენიშვილმა მოაწყო ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წლისათვისადმი მიძღვნილი გამოფენა. სწორედ ეს გამოფენა დაედო საფუძვლად ლიტერატურის მუზეუმის დაარსებას.

გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში, რამაც ალექსანდრე გრიბოედოვის მუდმივმოქმედი მუზეუმის გახსნა განაპირობა.

დავით არსენიშვილმა ქალაქის განათლების განყოფილებას მიმართა თხოვნით:

„საქართველოს სათეატრო მუზეუმმა შეკრიბა დიდი კოლექცია მწერალ გრიბოედოვის შესახებ, რომელიც დღეს არსებობს გამოფენის სახით. გამოფენაზე არის 300 ექსპონატამდე. ყველა ამ ექსპონატს სათეატრო მუზეუმი იძლევა გრიბოედოვის სახელობის სახლის მოსაწყობად. სახლი იქნება მოწყობილი პუშკინის, ტოლსტოის და ჩეხოვის სახლების მსგავსად. სახლი ეწყობა ორ ოთახში პოეტის საფლავთან, რომლის გახსნა განსაზღვრულია ნოემბერში. ზემოაღნიშნული სახლი, გთხოვთ, მიიღოთ თქვენი გამგეობის ქვეშ.“

დავით არსენიშვილის თხოვნის შედეგად, თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1929 წლის 20 ოქტომბერის სხდომაზე მიიღო დადგენილება: ტფილისში მწერალ გრიბოედოვის მუზეუმის გახსნა მიზანშეწონილად ჩაითვალოს. განათლების განყოფილებას დაევალოს მუზეუმის მოსაწყობად საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენა...

1929 წლის დეკემბერში, ხელოვნების მთავარი სამმართველოს გადანყვეტილებით, გრიბოედოვის გამოფენის ექსპონატები ახალ მუზეუმს გადაეცა. გამგის თანამდებობა კომუნალური მუზეუმის გამგეს, ნიკო ბადრიაშვილს, შეუთავსეს, მეცნიერ-თანამშრომლად კი ივანე ენიკოლოფოვი (ენიკოლოფაშვილი) დანიშნეს. მამა დავითის ეკლესიის წინამძღვარმა - ნესტორ მაჭარაშვილმა მუზეუმს უსასყიდლოდ დაუთმო ორი ოთახი.

ალექსანდრე გრიბოედოვის გამოფენის მზადების დროს მდიდარი მასალა გამოვლინდა 1820-30-იანი წლების თბილისის კულტურული ცხოვრების შესახებ, საინტერესო არქივები აღმოჩნდა კერძო პირთა მფლობელობაში. შესაძლებელი გახდა ქართველ მწერალთა მუზეუმის დაარსება, რასაც ხელს უწყობდა გრიბოედოვის მუზეუმის მთაწმინდის პანთეონის ეზოში მდებარეობდა, სადაც დაკრძალული იყვნენ ქართველი მწერლები და მოღვაწეები. საქმის ინიციატორობა კვლავ დავით არსენიშვილმა, თაოსნობა კი ტიციან ტაბიძემ იკისრა. 1930 წლის 8 მაისს ტიციან ტაბიძემ ოფიციალურად მიმართა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის გამგეს: „...*მთაწმინდის მუზეუმს შეუძლია გასწიოს საქართველოს საღიგეხატუხო მუზეუმის მაგივრობა. საღიგეხატუხო მუზეუმი კი აქამდე ახ ახსებობს ტფილისში, ხოცა სხვა კუდგენგებში თითქმის ყველა ასე თუ ისე ცნობიდი მწეხრისა და მსახიობის ცადვე მუზეუმებია. საღიგეხატუხო მუზეუმის ექსპონატები ეხდა სხვა და სხვა ადგილს ახის გაბნეული.*

ქადაქს ამ მუზეუმის მოწყობა ძვირი ახ დაუჯდება, ხადგან უმთავხესი მასადები უკვე შეგხოვიდია, საჭიხოა მათი თავის მოყხა, სახლის გამოყენებაც ადვიდია, საჭიხოა მხოლოდ მციხე ხემონგი...

მთაწმინდის მუზეუმის დაახსებით ქადაქი შეიძენს ეხო იშვიათ კუდგუხუდ დაწესებუდებას, ხომედსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქახოთუდ კდასიკუხ პეხიოდის მწეხრობის შესწავლისათვის და საეხოთოდ ფახოთ მშხომედთა მასების გათვითცნობიეხებისათვის და ეს იქნება ქადაქის საბჭოს გამაჩჯება კუდგუხუდ ხევორიუციის ფხონგზე.

ტიციან ტაბიძე

8 მაისი, 1930 წ., ქ. ტფილისი“.

ასე რომ, 1930 წელს დავით არსენიშვილის სურვილი ისევ იქცა რეალობად და საქართველოს შეემატა ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც მართლაც რომ საუნჯეა ქართველებისთვის.

რუბლიოვის მუზეუმის დაარსება:

დავით არსენიშვილის სახელი არა მხოლოდ საქართველოში დაარსებულ მუზეუმებს უკავშირდება. როგორც ვიცით, დავით არსენიშვილის მოღვაწეობის პერიოდში საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. შესაბამისად, გვინდოდა თუ არა, ქართველები ერთიანი კულტურის მონაწილეები ვიყავით. ალბათ, ამით შეგვიძლია

ავხსნათ, რომ დავით არსენიშვილმა, ქართული კულტურის მოღვაწემ, დააარსა იმ დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუზეუმი და ამით არაერთი კულტურული ძეგლი გადაარჩინა დაკარგვასა და განადგურებას.

აკადემიკოსი ლიხაჩოვი „ქართველთა შორის ყველაზე ქართველ კაცს“ უწოდებდა დავით არსენიშვილს და ამბობდა, რომ მოსკოვში, ანდრონიკეს მონასტრის კედლებში, იქ, სადაც ანდრეი რუბლიოვი ცხოვრობდა და მიიცვალა, ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის დაარსება დავითისთვის უმთავრეს იდეად იქცა. მან შეძლო და ეს იდეა რეალობად აქცია. 1947 წლის 10 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს #3974 დადგენილებით არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტს ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმის შექმნა დაევალა. ამისთვის გამოიყო ანდრონიკეს მონასტრის ტერიტორიაზე მე-15 საუკუნის ძეგლი, მაცხოვრის ტაძარი, სადაც ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და მიიცვალა დიდი ხელოვანი (+1430 წელს). წერილობითი წყაროებით ცნობილი იყო, რომ რუბლიოვი ამ ტაძარში გახლდათ დაკრძალული. ორმოციანი წლების ბოლოს ეს ცნობა დაადასტურა ცნობილმა არქიტექტორ-რესტავრატორმა პეტრე ბარანოვსკიმ. მთავრობის გადაწყვეტილებით, ანდრონიკეს მონასტრის მთელი ტერიტორია ანდრეი რუბლიოვის სახელობის ისტორიულ-არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადდა. თუმცა, მუზეუმის შექმნას სხვა გააზრება სჭირდებოდა, სხვა იდეისა და მსოფლმხედველობის ადამიანი და ასეთი აღმოჩნდა დავით არსენიშვილი, რომელიც 1949 წელს მიიწვიეს მუზეუმის შესაქმნელად. დავით არსენიშვილი გახლდათ პირველი დირექტორი ძველი რუსული ხელოვნების / რუბლიოვის მუზეუმისა. პირველი თანამშრომელი კი ნატალია დიომინა, ძველ-რუსული ხელოვნების ერთ ერთი საუკეთესო სპეციალისტი და მკვლევარი. დავით არსენიშვილს უნდოდა ამ რუსული კულტურის საგანძურის გადარჩენა, ამისთვის მან ბევრი დაცინვა, გულგრილობა, თავხედობა, უტიფრობა და დაუმსახურებელი ცილისწამება მიიღო. მაგალითად, როგორც ირინა ივანოვა იხსენებს, ასეთ რამესაც ამბობდნენ: „ქართველმა ვაჭრუკანამ მუზეუმით გამდიდრება მოინდომა“. მაგრამ ის არასდროს ნებდებოდა (არც პასუხობდა), არც ამ მუზეუმზე მუშაობის დროს და არც შემდეგ, ის დასახლდა ამ მონასტრის ცივ, ციციქა კარიბჭეში და იბრძოდა ყოველი ექსპონატისთვის.

1951 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის მინისტრების საბჭომ მიიღო წერილი, -რომელშიც თავმჯდომარე ჩერნოუსოვი ითხოვდა რუბლიოვის მუზეუმის დახურვას, რადგან ის “თვლიდა მუზეუმის არსებობას არამიზანშენონილად”. ამავე წერილით ის ითხოვდა, მუზეუმის შენობა რსფსრ-ის არქიტექტურის ოფისის სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოსთვის დაეთმოთ, მუზეუმი კი გაეუქმებინათ. დავით არსენიშვილი ამ საქმის განხილვაზე აქტიურად იცავდა არა მარტო მუზეუმის კომპლექტაციის შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობას. ის არაფრის წინაშე არ ჩერდებოდა, რაც არ უნდა ყოფილიყო გადალახავდა, ეს იყო მისი დირექტორად არჩევის ერთ-ერთი მიზეზი. როგორ აპირებდა „ქართველი ვაჭრუკანა“ გამდიდრებას და რეალურად, რა ხდებოდა, კარგად ჩანს დავით არსენიშვილის მიერ რევაზ იაშვილისადმი მოსკოვიდან გაგზავნილი წერილიდან, რომელიც 1954 წ. 10 ნოემბრით თარიღდება: „ძველებუხად უბინაოდ ვცხოვრობ. მუზეუმის საქმეები კახგად მიდის. უძველეს ქადაქ სუზდადიდან მე-17 საუკუნის კანკედი ჩამოვიგანე, ხომედიც ვეხცხდის ჭეღუხობით შემკული 70 დიდი ზომის ხატისგან შედგება და მათზე ჯეხ მახგო 55 კგ. ძველებუხი ვეხცხდია. გაძხის კედლებიდან ჩამოხსნილი ბათქაშიც ჩამოვიგანეთ, ხომეღბედაც მე-18 საუკუნის ფეხწეხაა გამოსახუდი. ახდა ეხთიცა და მეოხეც სახესგავხაციოდაა გადაცემუდი და ეხთი წდის შემდეგ გამოიფინება“. აი, ამით სულდგმულობდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო უბრუნველად ცხოვრება, მაგრამ მისთვის იდეა იყო უმთავრესი. ეს კი საბჭოთა ცნობიერების ადამიანებისთვის რთული გასაგები იყო. დავითის პიროვნების გასაგებად კიდევ ერთ წერილს დავიმოწმებთ. ეს გახლავთ მონაკვეთი ნატალია დიომინაადმი გაგზავნილი წერილიდან: „მგონი გყუიდაე ახ შემოვებეგე ვორგდის ამ მიყხუებუდ კუთხეში. ნაპოვნ ნივთებს გვეხდიდან ეხთი წუთითაც ახ ვიმოხებ.“

სძინავთ, ნათუხა ოღნავ ბჟუტავს, მე კი ხატს პიხსაბანს მივაყუდებ და შევცქეხი... ჩაშავებული ფიცხებიდან იმგვარი სინათლე იღვჩება, რომ თვადს ვეხ ვწყვეტ. “ნატადია, იქნებ ეს დიონისია?..” აქ იგულისხმება ვოლოგდის მაცხოვრის შობის მონასტრის ხატმწერი დიონისი. ვფიქრობთ, ამ წერილიდან ცხადად ჩანს, რითი სულდგმულობდა დავით არსენიშვილი. დავითი მუზეუმის დირექტორად აირჩიეს, რადგან ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც “შეძლო მუზეუმის არაფრიდან აგება, ნანგრევებიდან აგება.” როდესაც დავითმა ამ მუზეუმზე მუშაობა დაიწყო, შიგნით არაფერი იყო, ხატები არ დარჩა, არც დოკუმენტები, არაფერი დატოვეს, ასევე როგორც ერთ-ერთი თანამშრომელი წერს, “უნდა დაენგრიათ, მაგრამ დავითმა, თეატრისა და ლიტერატურის მუზეუმების შექმნის შემდეგ გადაწყვიტა ამ მონასტრის გადარჩენა”, “მან შეძლო არა მარტო “არაფრის” გადალახვა არამედ ამ მუზეუმის შექმნის პროცესის განმავლობაში, ფანტასტიკური წინააღმდეგობის გადალახვაც კი.” მან გადალახა მთელი ის წინააღმდეგობაც, რომელიც მის მიმართ მოდიოდა ხატების შეგროვების გამო, რომელსაც მოჰყვებოდა ფრაზა: “პარტიამ არ დაგვავალა ხატების მუზეუმის შექმნა,” კონკრეტულად ანტირელიგიური იდეოლოგიის გამო. ბევრჯერ და ბევრმა ადამიანმა სცადა ამ მუზეუმის დახურვა, მათ შორის იყო რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მაგრამ დავითი იბრძოდა და შეძლო მთავარი მდივნის მოადგილესთან იდეოლოგიის საკითხებში, მიხაილ სუსლოვთან, შეხვედრა, რომელზეც მან აუხსნა არა რატომ უნდა დაიცვან ეს მუზეუმი, არამედ ის, რომ მუზეუმში და საზოგადოდ ისტორიაში ძველი რუსული ხელოვნების არქონა რუსულ კულტურას ამცირებდა, სუსლოვმა მხარი დაუჭირა და მუზეუმის დახურვის საკითხი რამდენიმე წლით დახურა. დავითი იმდენად არ ცდილობდა ხატების მუზეუმის შექმნას, რამდენადაც რუბლიოვზე მეხსიერების აღდგენას და რუსული კულტურის მუზეუმის შექმნას, რათა ყველას ენახა, რომ ძველ რუსეთში იყო ხელოვნება. თვითონაც ხვდებოდა, რამდენად შეუძლებელი იყო ეს, მაგრამ ზუსტად ამიტომ შედგა ეს მუზეუმი, მისი მოტივაციისა და ხელოვნების მიმართ სიყვარულის გამო. დავითის პოპულარული ფრაზა, რომელიც ბევრმა ჩინოვნიკმა და თავმჯდომარემ გაიგო თავის დროზე, იყო: “თქვენ ხართ რუსი და არ გინდათ თქვენივე კულტურის მუზეუმის შექმნა მოსკოვში? კარგი, თბილისში დავაარსებ!”

ეს რაც შეეხება რუბლიოვის მუზეუმს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ დავით არსენიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი ქალაქის უძველესი ტაძრის, ანჩისხატის, გადარჩენას. ბოლშევიკების შემოსვლისთანავე, ოციან წლებში, როდესაც საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში დაანგრეს ბევრი ტაძარი, ჯერი ანჩისხატის დანგრევაზე მიდგა. დავით არსენიშვილმა წარმოუდგენელი წინააღმდეგობა გაუწია “მებრძოლ უღმერთოთა კავშირს”, რომლებიც ანჩისხატის ეკლესიის აფეთქებას ცდილობდნენ. როგორც კი დავითმა ეს გაიგო, ეკლესიაში შეიტანა გასაშლელი საწოლი და იქ დასახლდა. იქ ათენებდა და ალამებდა. აცხადებდა, რომ ამ ტაძრისთვის ცხოვრებასაც გაიმეტებდა და თუ ტაძრის აფეთქება უნდოდათ, მოუწევდათ მასთან ერთად აეფეთქებინათ. ეს იყო წარმოუდგენელი გმირობა იმ პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლებამ უკან დახევა და ტაძრის დატოვება ამჯობინა მოსალოდნელ აწიოტაჟს. ასე გადარჩა უნიკალური ანჩისხატის ტაძარი.

უნიკალური ფარდის ისტორია:

ამით არ სრულდება დავით არსენიშვილის ღვაწლი ქართული განძის გადასარჩენად. კიდევ ერთ უცნობ ფაქტს გაგაცნობთ.

1922 წელს ცნობილმა თეატრალმა ელენა სუხოდოლსკაიამ მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებული “თავისუფალი თეატრის” ფარდა საქართველოს უსახსოვრა, მაგრამ ამ უნიკალური ხელოვნების ნიმუშის სამშობლოში ჩამოტანა ურთულესი საქმე იყო. დავით არსენიშვილმა ამ ფარდის ჩამოსატანად ბევრი რამ გადალახა. მან 1930 წელს დაიწყო იმისთვის ბრძოლა, რომ ჯერ გადაერჩინა ეს ფარდა და შემდეგ მოსკოვიდან წამოეღო ის,

რაც თითქოს ქართველებს არც ეკუთვნოდათ. რუსეთიდან ძვირფასი განძი უნდა ჩამოეტანა, ეს კი თითქმის წარმოუდგენელი იყო, რადგან ეს ფარდა ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის დაარსებული “თავისუფალი თეატრისთვის” დიდმა რუსმა მხატვარმა კონსტანტინ სომოვმა შექმნა. კოტე მარჯანიშვილმა სპეციალურად დაუკვეთა სომოვს თავისი თეატრისთვის ფარდის შექმნა, მხატვარს, რომელიც თეატრისთვის საერთოდ არ მუშაობდა, მაგრამ მისი ხელოვნება საზეიმო დეკორაციულობითა და ეფექტური თეატრალიზაციით გამოირჩეოდა. გენიალური რეჟისორი არც შემცდარა. აპლიკაციებით გაფორმებული ფარდა მართლაც ხელოვნების გამორჩეული ქმნილება იყო. ფარდის ზომები 7 X 11 მეტრს შეადგენდა, მხოლოდ ესკიზში “თავისუფალი თეატრის” მფლობელმა 15 ათასი რუბლი გადაიხადა და მის შესაქმნელად 50-მდე მკერავმა რამდენიმე თვე დახარჯა. როგორც რუსი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ელენა იაკოვლევა მიიჩნევს, ფარდის მნიშვნელობას ისიც აორმაგებდა, რომ მის შეკერვაში სავარაუდოდ, თავად მხატვარი და მისი და, ანა სომოვა, მონაწილეობდნენ. ასე რომ, შედეგად ქცეულ ფარდას მემორიალური მნიშვნელობაც ჰქონდა. 1920 წლიდან ხელოვნების ეს ნიმუში ხმარებიდან ამოიღეს და მოსკოვის სანახაობათა სამმართველოს საწყობში ინახებოდა. ადგილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლება უნდა გადაეღა და ვით არსენიშვილს, რომ ეს ფარდა საქართველოს კულტურის ნაწილი გამხდარიყო. მაგრამ დავითი არ შეეპუა და წერილებით საქართველოს განათლების კომიტეტსა და საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მრავალგზის მიმართა, იგი ითხოვდა, ყოფილი თავისუფალი თეატრის ფარდა სათეატრო მუზეუმისთვის გადმოეცათ, რადგან ფარდა უკავშირდებოდა ქართველი რეჟისორის სახელს და მისი ადგილი საქართველოს თეატრალურ მუზეუმში იყო.

რთული წარმოსადგენია, რა ბრძოლაც გადაიხადა ამისთვის. როდესაც ეგონა, რომ მიზანს მიაღწია და საბჭომ გადაცემის თანხმობა განაცხადა, სწორედ მაშინ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, კერძოდ ლუბიმოვ-ლანსკოიმ, კომისიის რუსი წევრები გადაარწმუნა და კომისიამაც უარი განაცხადა უნიკალური ფარდის საქართველოსთვის გადაცემაზე. სხვა ადამიანი დანებდებოდა, მაგრამ არა დავით არსენიშვილი. მან ისევ დაიწყო კომისიის დარწმუნება. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ლუბიმოვ-ლანსკოისთან საკმაოდ დაძაბული კამათიც კი ჰქონია კომისიის წინაშე. მეტიც, ასეთ ხერხსაც მიმართეს, გადანყვიტეს, საქმე გაენელათ, რადგან დავითის უსახსრობის იმედი ჰქონდათ, ის დიდი ხანი მოსკოვში ვერ გაჩერდებოდა. მაგრამ არც დავითი იჭდა გულხელდაკრეფილი, მან შეძლო ძალიან ბევრი პარტიული თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების დარწმუნება. ის ყველა კარზე აკაკუნებდა მანამ, სანამ არ გაუღებდნენ, რათა მიზნისთვის მიეღწია. და მიაღწია კიდევ.

1930 წლის თებერვლის ბოლოს მოსკოვის პროფკავშირის თეატრის თანამშრომლებისა და დავით არსენიშვილის თანდასწრებით სანახაობათა სამმართველოს საწყობში ფარდა დაათვალიერეს. ხელოვნების უნიკალური ნიმუში 60 ათას მანეთად შეფასდა და იგი სათეატრო მუზეუმის წარმომადგენელ დავით არსენიშვილს გადაეცა. საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ეს უძვირფასესი ნიმუში სამშობლოში დავით არსენიშვილმა მარტომ, მატარებლით ჩამოიტანა. ამისთვის მოსკოვში ამიერკავკასიის მუდმივ წარმომადგენლობას საგანგებოდ მიუმართავს მოსკოვში, ყაზანის ვაგზლის უფროსისთვის და ქართველ მოღვაწეს ნება დართეს, ძვირფასი ისტორიული განძი ვაგონში შეეტანა. ასეთი ბრძოლით მოპოვებული ფარდა დღეს საქართველოს ხელოვნების სასახლეშია დაცული და იგი მსოფლიო სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ქმნილებად მიიჩნევა.

ბოლოოქმა

სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, თანამედროვეები არ წყალობდნენ დავით არსენიშვილს და არც აფასებდნენ. ამის მაგალითია ის ფაქტი, რომ, რუბლიოვის მუზეუმის გახსნის დროს ის

გვერდით, კედელთან იდგა მარტო და თავმდაბლად, როცა წინა ფონზე თავს იწონებდნენ პარტიული და სხვა მუშაკები. მადლობა არავინ უთხრა, არავინ დააჭილდოვა, სიტყვის თქმის უფლებაც არ ჰქონდა. მისი თავმდაბლობის დასტურია მისივე საფლავი, საბურთალოზე, სადაც თავის დასთან ერთადაა დაკრძალული. მასზე მითითებულია მხოლოდ მისი სახელი, გვარი და პატარა ჭვარი...


ჩვენ ვალდებული ვართ, ვიცნობდეთ ჩვენს დიდ წინაპრებს, რათა დავინწყებას არ მიეცეს მათი სახელები. ამიტომაც შევეცადეთ, რომ თქვენთვისაც გაგვეცნო ამ წუთებამდე უცნობი, მაგრამ უკვე ნაცნობი დავით არსენიშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნათელა ვაჩნაძე, დავით არსენიშვილი - ესკიზები შემოქმედებით პორტრეტისათვის, წიგნი რუსულიდან ქართულად თარგმნა ნატო მანჯავიძემ, თბილისი, 2012.
2. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, თბილისი, 2013 წელი.

ინტერნეტრესურსები:

- ჟურნალი „ისტორიანი“, #10, 2015 წ <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/123733>
<https://www.rublev-museum.ru/about/history-of-the-museum/>
<https://www.youtube.com/watch?v=lElhpT2KBNQ>
<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00004107/>
<https://artinfo.ge/tag/davith-arsenishvili/>
<https://tbilisipost.ge/news/-davit-arsenishvili---khelovnebis-mveli-romelma-anchiskhatis-eklesia-gadaarchina-dangrevas/2080>
<https://psmb.ru/a/david-arsenishvili-khranitel-drevnerusskogo-iskusstva-v-sovetskoe-vremia.html>





“ემოჯები” – სიმბოლოებით კომუნიკაცია

მარიამ სააკაშვილი, XI კლასი


კომუნიკაცია (ლათინურიდან Communico - საერთოს ვხდი), ფართო გაგებით, არის ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით. კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური ან არავერბალური მეთოდებით. ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაცია ხორციელდება ინდივიდებს, საზოგადოებებს, კულტურებს შორის ნიშნების სისტემათა (ენის) მეშვეობით. კომუნიკაციის საშუალებები და ფორმები ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა ისტორიულ გამოცდილებას. იგი უზრუნველყოფს აგრეთვე სოციალური გამოცდილების დაგროვებასა და გადაცემას, შრომის განაწილებასა და ერთობლივი მოღვაწეობის ორგანიზაციას, მართავს, კულტურის, ტრადიციის გადაცემასა და ა.შ. ინფორმაციის გადაცემა უძველესი დროიდან პიქტოგრამების, გამოქვაბულში შესრულებული ნახატების საშუალებით აღწევდა ჩვენამდე.

კომუნიკაციის საშუალებები განსაკუთრებით განვითარდა გასული საუკუნის 20-იან წლებიდან. ეს დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო კომუნიკაციის გამარტივებას. კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ განაპირობა კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, სემიოტიკის ჩამოყალიბება. კომუნიკაციის ცნება დღეს ცენტრალურ კატეგორიად ყალიბდება სოციალურ თეორიაში (ი. ჰაბერმასის "კომუნიკაციური მოქმედების თეორია, ნ. ლუმანის "სოციალური სისტემების თეორია" და სხვ.).

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი გავლენა იქონია ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე განსაკუთრებითი წერილობითი კომუნიკაციის დროს და ეგრეთწოდებული „ემოჯები“ ჩვენი კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილად იქცა. „ემოჯების“ პირველ წყაროდ ავსტრიელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტაინი მიიჩნევა, მან 1832 წელს ერთერთ სემინარზე სტუდენტებს სამი სახის გამოეტყველება წარუდგინა და აღნიშნა, რომ მათ ბევრად მეტის თქმა შეუძლიათ ვიდრე ჩვეულების ზედსართავ სახელებს



ემოტიკონები გამოიყენა 1928 წელს ამერიკელმა სკოტ ფელმანმან ეს იყო ორწერტილი, ტირე და ფრჩხილის ნიშანი :-) რომლიც თანამედროვე ემოჯის წინაპირობას წარმოადგენდა



1999 წელს ციფრული ტექნოლოგიების ინჟინერმა იაპონელმა შიგატაკა კურიტამ შექმნა პიქსელის სურათები, რომელთა სმარტფონით გაგზავნა შესაძლებელი გახდა. სწორედ აქედან დაიწყო თანამედროვე ემოჯების გამოყენება. ვფიქრობ, ასევე საინტერესოა ვიცოდეთ საიდან ხდება ეს ემოჯები ჩვენს სმარტფონებში, აიპადებში და საერთოდ ვინ ქმნის მათ. არსებობს ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია უნიკოდე Unicode, რომელიც ქმნის უნიკალურ კოდებს, სიმბოლოებს. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია Google, Microsoft, Apple და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები და სწორედ მათი მეშვეობით ხდება ემოჯების ჩვენს ხელსაწყოებში ინტეგრირება.



ემოჯების ასეთმა გავრცელებმა შესაბამისად წარმოშვა საკითხი, იმის შესახებ უწყობენ თუ არა ისინი ადამიანებს შორის კომუნიკაციის სწორად წარმართვას ხელს და ხომ არ მოახდენენ ისინი გავლენას ზოგადად წერილობითი კომუნიკაციაზე. ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის შტეფანოვიჩის¹ აზრით, რომლის კვლევის საგანს ემოჯების გავლენა კომუნიკაციაზე წარმოადგენს, ისინი წერილობით ენას, უფრო მეტი ემოციური ელემენტებით წარმოგვიდგენენ, და იმ პროცესებს გვიჩვენებენ რაც ყოველდღიურობაში ხდება, ასევე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან სიტუაციური კონტექსტის შესახებ, რომელშიც იმყოფებიან კომუნიკაციის მონაწილეები.

ასევე კვლევებმა აჩვენა რომ მათი გამოყენებით წერილობითი კომუნიკაცია გარკვეულწილად რეალურს უახლოვდება, რადაც ისინი ანაცვლებს ისეთ ელემენტებს, როგორც არის მიმიკა, ჯესტიკულაცია, სხეულის ენა. ასევე მიმდინარეობს იმის განხილვა შესაძლებელია თუ არა ემოჯები გახდეს მსოფლიო ენა, თუმცა ისევ შტეფანოვიჩის აზრით ეს შეუძლებელია, გამომდინარე იქედან რომ ისინი არ იქმნება მომხმარებლების მიერ და შესაბამისად ენის ბუნებრივი ცვლილებაზე გავლენა არ ექნებათ.

ასევე გასათვალისწინებელია ისიც რომ მნიშვნელოვანია ემოჯების მნიშვნელობების ცოდნა და ასევე კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. მაგ. ემოჯი, რომელიც ცხვირიდან ორთქლს უშვებს, ამერიკაში და ევროპაში, სიბრაზის გამომხატველია, იაპონიაში ის ტრიუმფს ნიშნავს.




სმაილები და ემოციების გამომხატველი სხვა სიმბოლოები ინტერნეტ-კულტურის ნაწილია, ამიტომაც მნიშვნელოვანია, მათი სწორი მნიშვნელობა ვიცოდეთ.

1. ბევრ ინტერნეტ-მომხმარებელს არასწორად სჯერა, რომ ეს ემოჯი ლოცვას გამოხატავს. სინამდვილეში, ეს იაპონური ჟესტია და პატიების თხოვნაა. ამერიკული ახსნის მიხედვით კი, ეს "high-five"-ს ნიშნავს.



2. რთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ემოჯი კოცნას გამოხატავს. თუმცა, ალბათ, მსგავს ემოჯიში გერევათ, რომელსაც ტუჩებთან გული აქვს და ნამდვილად კოცნის ნიშანია. ქვემოთ მოცემული სიმბოლოეა კი, უბრალოდ, უსტვენს.



¹ <https://www.fluter.de/wie-beeinflussen-emojis-unsere-sprache>

Facets of love according to “The Red and The Black”

Lizi Talakhadze - grade 10

My goal was to read and enjoy the book to present it to my class, but after some time of consideration, we decided to present this masterpiece of Stendhal on the conference and to get to know which type of love is trendy nowadays. Stendhal prioritizes vanity love which we can compare to love nowadays. The results can be seen at the end.



About the Author


Marie Henri Beyle, better known by his pen name, Stendhal was a 19th century French writer. He was born on the 23rd of January, 1783 in Kingdom of France and passed away on the 23rd March, 1842 in Paris, Age 59. Best known for the Novels “The Red and The black” and “The Charterhouse of Parma”. He is highly regarded for the acute analysis of his characters' psychology and considered one of the early and foremost practitioners of realism. A self-proclaimed egotist, he coined the same characteristic in his characters "Beylism".

Characters

Julien Sorel- The protagonist. Nineteen-year-old boy living with his carpenter Dad. Ambitious, Intelligent, Hypocritical and a fan of Napoleon. He has no experience with Love, but still acts like he can seduce women.

Madam de Renal- Aristocrat and a wife of the mayor. Madam truly loves Julien and although she's cheating on her husband, she's a symbol of purity and kindness in the book. Unlike other characters, she is honest and compassionate.

Mathilde- Daughter of Marquis, who is Julien's employer in Paris. She immediately takes a liking to Julien. She's honest, but sometimes imbalanced. She begs her father to marry Julien, since he is from a lower class.




Mayor de Renal - symbol of greediness. Although he gets manipulated easily and is often seen as naïve or stupid, Julien still sees him as an opponent.



About the book

The Red and the Black stands at the crossroads of eighteenth and nineteenth-century French literature. Like most romantic novelists, Stendhal treated such themes as individualism, passion, the pursuit of happiness, and intrigue. Stendhal is in constant presence in The Red and The Black. He does not hide behind his characters, but rather judges and mocks them, either gently or with extreme criticism. For example, Julien thinks of himself as a master at seducing women, but actually has no idea what he's doing. Stendhal also pokes fun at Mathilde, who is a passionate romantic but also mentally unstable. The protagonist often resembles the author. For example, his love for Napoleon, which he talks about in the historical part of the book.




Facets of Love

The Red and The black was also one of the first novels to emphasize psychological observation, especially observation on love. Stendhal considered himself as a genius or a scientist of love, by which he distinguished four types of love: passion-love, vanity love, physical-love and stylish love. Unlike A typical romantic protagonist, Julien doesn't stupidly or whimsically fall in love with Madame, or fall in love blindly, but rather he

feels vanity-love. Madam de Renals high status flatters his ego. But also, Julien manipulates Mathilde into loving him with a lot of psychological games. Stendhal always has the urge to make a triangular love cycle. And he always introduces different things in the relationships, like jealousy.

The interview

In order to find out what the youth thinks about the trendiest love nowadays, we used a social linguistic interview. We interviewed 51 students, from different sections of the school. We had 4 options and "cannot decide".



Why would I recommend this book?

The Red and The Black shows the real side of Love, where love can be fulfilling, but imperfect. From my point of view, the way Stendhal observes love is what makes the book different from other novels.

Resources:

<https://www.meta-chart.com/pie>

<https://www.gentlemanlibrary.com/red-black-analysis/>

<https://www.britannica.com/biography/Stendhal-French-author>

Human beings are a mess of contradictions. A person might hate violence but love violent action movies. Someone else might believe certain people are inherently good yet refuse to believe in the idea of a soul. Human mind is a tricky thing to mess with, and yet some still can take control and manipulate it. It is funny how i could be trying to manipulate you right now but some of you might not even know. My main reason to create a project about this topic is exactly this, to teach and show you how you can detect manipulation and how to avoid it's effect.

Now the first question is raised what exactly is manipulation?

Manipulation is the exercise of harmful influence over others. People who manipulate others attack their mental and emotional sides to get what they want. The person manipulating — called the manipulator — seeks to create an imbalance of power, and take advantage of a victim to get power, control, benefits, and/or privileges at the expense of the victim.

Manipulation can happen in close or casual relationships, but they are more common in closely formed relationships. In a way, everyone can manipulate others to get what they want. But manipulation is defined as any attempt to sway someone's emotions to get them to act or feel a certain way.

It is important to distinguish healthy social influence from psychological manipulation. Healthy social influence occurs between most people, and is part of the give and take of constructive relationships. In psychological manipulation, one person is used for the benefit of another. The manipulator deliberately creates an imbalance of power and exploits the victim to serve his or her agenda.

Let me show you some forms of influence that can be a sign of manipulation

Home Court Advantage


A manipulative individual may insist on you meeting and interacting in a physical space where he or she can exercise more dominance and control. This can be the manipulator's office, home, car, or other spaces where he feels ownership and familiarity and where you lack them.

Manipulation of Facts

Making lies to have intellectual superiority

Let You Speak First to Establish Your Baseline and Look for Weaknesses

While asking general questions they will establish a baseline which will show your strengths and weaknesses. With this they will be able to identify how they can manipulate you.



Overwhelm You with Facts, Statistics, and procedures.



Some individuals enjoy “intellectual bullying” by presuming to be the expert and most knowledgeable in certain areas. They take advantage of you by imposing alleged facts, statistics, and other data you may know little about. This can happen in sales and financial situations, in professional discussions and negotiations, as well as in social and relational arguments.

Gaslighting

This tactic is used by the manipulator to confuse you and make you question your own reality. The manipulation happens when you confront the abuse or lies and the manipulator tells you that it never happened.

Raising Their Voice and Displaying Negative Emotions

We all have raised our voices at some point in our lives. Whether it was in a negotiation or in an argument we all have done it. The question is do you believe this is a form of manipulation?

Negative Humor Designed to Poke at Your Weaknesses and Disempower You

Some manipulators like to make critical remarks, often disguised as humor or sarcasm, to make you seem inferior and less secure. This way they will be able to make you look and feel bad, which will give them a way to overpower you.

Passive- Aggression

People can be passive-aggressive for many reasons that aren't always intended to manipulate. But chronic (long-term) manipulators will use this tactic to make you feel guilty and give backhanded compliments. They are doing this to show anger without directly being angry, making you feel confused.

Treating Manipulation

Manipulation can be hard to identify or admit to when it's happening to you. You are not at fault for having manipulation happen to you. There is no way to prevent manipulation because it's an issue of the manipulator. It's up to the manipulator to find help.

However, there are ways to reduce the emotional impact of manipulation. Here are ways to set strong boundaries in a relationship:

Communicate in clear, direct, and specific ways.

Understand when manipulation is not normal and needs to be addressed.

Set boundaries around manipulation and find a way to let the person know that you understand they are manipulating you, and that you don't want to be a part of that conversation.

Seek out a trusted individual, who is not under the influence of the manipulator, and ask their advice about your situation.

As study shows manipulative behavior involves three factors: fear, obligation, and guilt.




And the traits of manipulator includes:

Machiavellianism - The use of manipulation to exploit and deceive people with no sense of morality.

Narcissism – It involves lack of empathy, grandiosity, and egotism.

Psychopathy – Usually friendly and charming but is characterized by remorselessness, lack of empathy, impulsivity, and selfishness.



Resources:

In sheep's clothing-George Simon Jr

Who's pulling your strings?- Harriet B. Braiker

<https://www.webmd.com/mental-health/signs-manipulation>

<https://www.psychologytoday.com/us/blog/communication-success/201510/14-signs-psychological-and-emotional-manipulation>

Definition

The word biomimetic first appeared in Webster's dictionary in 1974 as it says from the book of philosophical transcriptions and is defined as 'the study of the formation, structure or function of biologically produced substances and materials (as enzymes or silk) and biological mechanisms and processes (as protein synthesis or photosynthesis) especially for the purpose of synthesizing similar products by artificial mechanisms which mimic natural ones'. But to define it directly the term translating from Greek means imitating life. To summarise biomimicry is when humans create new designs or innovations that are inspired by nature.



Where it all began

One of the first examples of biomimicry that we see in human history is silk. Silk was invented in China between 4000 and 3000 BC when according to a legend, the princess Xi Lingshi discovered that a cocoon could be unraveled to produce a thread and it happened when a silkworm accidentally dropped in her tea while she was sitting under the mulberry tree.

Another good example is the first Chinese umbrella. About 3500 years ago Lu Ban, a Chinese carpenter, and inventor were inspired by the kids who were using lotus leaves as rain shelters.


In the end without even realizing humans were influenced by nature even before the term biomimicry was popularised.

Popularisation

The first time people acknowledged biomimicry was in 1997 when Janine Benyus used the term "biomimicry" in her seminal book - Biomimicry: Innovation Inspired by Nature.


As this scientist - Ms. benyus later on said there are three types of biomimicry. One is copying form and shape, the second is copying process like photosynthesis, and the third is mimicking at an ecosystem's level, like building a nature-inspired city.

Since then, when people finally recognized how inspiring nature, can be used in buildings, vehicles, materials, etc. engineers and scientists have been using it in real life to solve different issues and create new machinery and designs.




Examples

A modern example of copying shape in biomimicry is a Japanese train Shinkansen inspired by the bird called the kingfisher. These are generally brightly colored birds that are about 10 to 46 centimeters long. There are about 90 kinds of kingfisher throughout the world and most of them live in warm regions near rivers or lakes since they essentially eat fish. They fly low and straight like bullets, reaching up to 25 miles per hour but it's not their speed that excites scientists, it's their beaks. Kingfishers' beak shape is aerodynamically efficient. Thanks to it this bird



can dive quickly from air into the water without losing too much speed and at the same time without splashing. So engineers have used the shape of a kingfisher's beak to design the nose of a Japanese bullet train and also fix the problem of making a loud noise when traveling through tunnels. As a result, engineers solved this problem with noise, and what is even more now the famous Japanese train goes 10% faster while using 15% less energy.



